საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№117-118 (10120-10121) 2026 წლის 31 აგვისტო, ორშაბათი

სიცოცხლეს ნუ ისპობთ, ნარკომანებო!

იხ. 15 გვ.

ბაზარზე მორიგი საეჭვო ნარკოტიკული ნივთიერებები გამოჩნდა, რაც ხშირად ფატალურ შედეგს იწვევს

8

თამაზ ხმალაძე — „ქართული სიტყვიერების ხმალამოღებული რაინდი“

გიორგი გოგოლაშვილი □□ქართული სიტყვიერების ხმალამოღებული რაინდი□□ასე ჭაბუა ამირეჯიბმა შეაფასა მწერალი თამაზ ხმალაძე, რომელსაც 29 აგვისტოს 80 წელი შეუსრულდა...

□ მრავალჟამიერ, ჩემო თამაზ! საიუბილეოდ მშვენიერი ერთტომეულიც მიიღო მკითხველმა, მაგრამ მე არ ვაპირებ შენს შემოქმედებაზე საუბარს, ეს სხვამ იტვირთოს... ჩვენ 60 წელია ერთად მოვდივართ ამ მადლიან თუ უმადურ წუთისოფელში; გადავავლოთ თვალი განვლილ გზას და ვუთხრათ მადლობა წუთისოფელს მასპინძლობისთვის...

საუბრობენ მეგობარი მწერლები გიორგი გოგოლაშვილი და თამაზ ხმალაძე

„ქოცობაც“ და „ნაცობაც“ დიდი განსაცდელის პირისპირ დგანან!

2–3

გივი გავარდაშვილი

4–5

თამაზ შილაკაძე: ეკოცენტრი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს!

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციის — გარემოს დაცვის ეკოცენტრი 40 წლისაა!

ეს არის სრული უმეცრება!

იხ. 6 გვ.



დეკანოზი გიორგი გოგიჩაიშვილი

სამხრეთ კავკასია მოსკოვის გარეშე?!.

10

1878 წლის 25 აგვისტო აჭარის დედა-საქართველოში დაბრუნების დღეა!

5



საშემოდგომოდ დუღილის ტემპერატურა ორივე ბანაკში მატულობს...

„ქოცობაც“ და „ნაცობაც“

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საშინელი ახალი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ციხეში მჯდომ, სასჯელმისჯილ ადამიანს, რა განსაცდელი შეიძლება დაემუქროს? რა და 15 წელი! ხოლო თუ სიმართლეს თვალებში ჩავხედავთ, ვინ იცის, იქნებ 20 წელი და მეტიც!

დიდი განსაცდელის პირისპირ დგანან!

გულწრფელად ვიტყვი, როცა ირაკლი ღარიბაშვილი ჩასვეს და 5 წელი მიუსაჯეს, არცთუ მთლად გამოკვეთილი ბრალდებით, გული დამწყდა. იმიტომ რომ, ამ კაცის როგორც პოლიტიკური მოღვაწის მიმართ გარკვეული სიმპათიები მქონდა, ამას გარდა, მახსოვდა მისი მტკიცედ დგომა ევროკავშირის აშკარად გამოკვეთილი ანტიქართული გამოხდომებისადმი. მაშინ ყოფილი პრემიერ-მინისტრი დამაგნეველად პატარა სასჯელით და მოფერებასავით სულგრძელი სასამართლო პროცესით გადარჩა. არადა, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ ხელშესახები თანხა უპოვეს სახლში – 6, 5 მილიონი „დაპაჯკული“ დოლარი. თითქოს ამხელა თანხა თავისთავად მოითხოვდა 10 ან 15 წელს, მაგრამ აიღეს და 5 წელი მისცეს!

„მე სრული მოთმინებით მივიღე ეს განსაცდელი. ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ თავიდან ამერიდებინა გუნდთან და ჩემთვის ძვირფას ადამიანთან დაპირისპირებაში შესვლა“ (ძვირფას ადამიანში უთუოდ ბიძინა ივანიშვილი იგულისხმება“), დაწერა ირაკლიმ. მაშინ ერთმა გამოცდილმა კაცმა მითხრა, ირაკლის, როგორც ჩანს, ყველაფერი ჯერ წინ აქვსო, ის ხომ როგორც სახელმწიფო გუნდის კორუმპირებული წევრი არ გაუსამართლებიათო. მის პარალელურად ლილუაშვილი და ბურჭულაძე სწორედ ამ რანგით გასამართლდნენ და კაიკაი სასჯელებიც მიიღეს.

ახლა რა აუცილებლობამ შვა ეს ახალი ბრალი და, შესაბამისად, 11-15 წელი გარანტირებული ახალი სასჯელი? თუ ეს ჯერჯერობით ბუნდოვნად ჩანს ჩვენთვის, გამოძიების პროცესში ყველაფერს ნათელი მოეფინება, მით უფრო, რომ ღარიბაშვილმა „რაღაცის თქმა“ დაიქადნა.

რა თქმა უნდა, ეს უბრალოდ არ მომხდარა...

ივლისში მან ციხეში მიიღო მამუკა მდინარაძის წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ იგი „პოლიტიკაში აპირებდა დაბრუნებას“, დასაზღვევად საჭირო იყო მისთვის კორუფციული ბრალის წარდგენა და მის მიერ ბრალის აღიარება. ეს იქცა წითელ ხაზად, რამაც ირაკლის გადაადგმევინა მის ცხოვრებაში ყველაზე რთული ნაბიჯი: „რადგან სხვა გამოსავალი არა მაქვს, იძულებულს მხდიან დავიწყო ბრძოლა“. ამ ბრძოლას ირაკლიმ წინ სამი განცხადება-წერილი წარუმძღვარა. პირველ წერილში ყველასთვის მოულოდნელად ბიძინა ივანიშვილი ახსენა: **„დღეიდან ჩემი ოჯახის უსაფრთხოებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ბიძინა ივანიშვილს და მთელ ხელისუფლებას,“** – დაწერა მან. მეორე წერილში გაამჟღავნა მისთვის შეგზავნილი წერილის ავტორი – მამუკა მდინარაძე, ხოლო მესამე განცხადებაში ისრები ბიძინა ივანიშვილიდან მთლიანად ყოფილ თანაგუნდელებზე გადაიტანა:

„მივმართავ ხელისუფლებას. თავიდანვე მომიწყვეთ ბინძური პროვოკაცია, არაკაცური მახე დამიგეთ, სიტყვაზე გენდეთ, ალალად და ბრმა ნდობით გამოგყევით, მაგრამ თქვენ მომატყუეთ და გადამაგდეთ... მთელი ეს საშინელი ტკივილი და ტრაგედია, ყველაფერი მოთმინებით და მდუმარებით, ჩემს გულში დავიტიე ბიძინა ივანიშვილთან ჩემი 20-წლიანი ურთიერთობის გამო, ჩემი მისდამი უდიდესი სიყვარულის, პატივისცემის, უსაზღვრო მადლიერებისა და აბსოლუტური ერთგულების ძალით... შედეგად ხუთი წლის ვადით გამიშვით ციხეში, გუნდის შიგნით არსებული კონკრეტული ჯგუფის მიერ შექმნილი ცრუ აღქმების, წარმოსახვების, შურის, შიშებისა და ეჭვების გამო... მინდა კიდევ ერთხელ მკაფიოდ განვაცხადო: მე არავის არ ვებრძვი, მე მხოლოდ ჩემს საკუთარ თავს და ოჯახს ვიცავ“!..

ასე და ამრიგად, 24 აგვისტოს პატიმრობაში მყოფ საქართველოს ყოფილ ორგზის პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ჯგუფურად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების საქმეზე პროკურატურამ ახალი ბრალი წაუყენა. მისივე ინფორმაციით ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ქრთამის აღების ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო ორგანოს ინფორმაცია თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის ნათესავმა ვასილ მხეიძემ მიაწოდა, გამოძიებასთან ითანამშრომლა თავად ჯუანშერ ბურჭულაძემაც. საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროსთვის საჭირო სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის შეძენის მიზნით ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის დროს ჩატარებულ რამენიმე საიდუმლო შესყიდვას, რომლის ფარგლებშიც ირაკლი ღარიბაშვილმა ქრთამის სახით ხელზე 750 000 ლარი აიღო, საერთო ჯამში კი სახელმწიფოს 6 985 255 ლარის ქონებრივი ზიანი მიადგა და არსებითად დაირღვა საჯარო ინტერესი.

პროკურატურის მიერ ირაკლი ღარიბაშვილისთვის წაყენებული ბრალდება გულისხმობს სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ჯგუფურად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას და სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

25 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ირაკლი ღარიბაშვილის საქმეზე პირველი სხდომა გამართა, რომელსაც თავად ყოფილი პრემიერი არ დასწრებია, მან უარი განაცხადა პროცესებში მონაწილეობაზე და საპატიმროდან კიდევ ერთი წერილი გაავრცელა თავისი გადაწყვეტილების შესახებ. „ეს არის დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლა, უსამართლობა და ბოროტება ჩემს წინააღმდეგ. მე აღარ ვაპირებ ამ სამარცხვინო და ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელ პოლიტიკურ მასკარადში მონაწილეობას. ჩემს ინტერესებს მხოლოდ ჩემი ადვოკატები დაიცავენ...მოსახდენი უკვე მოხდა, ამიტომ ჩემი ერთადერთი გზა და ბრძოლის იარაღი ჩემი სიმართლეა. ვაპირებ, საჯაროდ ვესაუბრო საზოგადოებას და ვუთხრა ჩემი სიმართლე. დაე, ხალხმა განსაჯოს!“ – დაწერა ღარიბაშვილმა.

მაშ ასე, ერთ დროს ხალხში დიდად პოპულარულმა, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისათვის ლამის კუმირად ქცეულმა ექს-პრემიერმა არჩევანი გააკეთა, არჩევანი, რომლისკენაც ასე დაჟინებით მოუწოდებდა რადიკალური ოპოზიცია: ელაპარაკა ხალხთან, ემხილებინა ყოფილი გუნდი და ამით წვლილი შეეტანა დღევანდელი „რეჟიმის“ დამხობაში, რომლის ნაწილი ცოტა ხნის წინ თავად იყო!

* * *

ამასოგაში ოპოზიციაში მონასტერი აირია და ერთმანეთის საცვლეგის გამომზეურეგა დაიწყეს.

ანა წითლიძე გვარამიას დაუპირისპირდა:

„ადამიანი, რომელსაც თვეში 85 ათასი ლარი ხელფასად ჰქონდა მაშინ, როცა მისი თანამშრომლების დიდი ნაწილი თვეების განმავლობაში ხელფასს ვერ იღებდა, შემდეგ, ესეც არ ეყო, ჯერ მიძინას დავალებით „მთავარი არხი“ დახურა, მერე კი ისევ იმ ადამიანებს მიადგა, ვინც ჩააცვა და ღალატის სანაცვლოდ 40 მილიონი აიღო...“

გვარამიამ პასუხად ენმ-ის წევრები დავით კირკიტაძე და რამაზ ნიკოლეიშვილი ჩაუშვა:

„დავით კირკიტაძემ ენმ-ისგან 9 მილიონად იყიდა ოფისი (პროქსის მეშვეობით) და დღეს ამ ოფისიდან ჩინურ მანქანებს ყიდის და ფულს აკეთებს... გაურკვეველია, თუ 9 მილიონი დაჯდა ანგარიშზე, რატომ ტირის ენმ, რომ არაფრის ფული არა აქვს, საკუთარი პარტიის პატიმრების ფულიც კი არ გადაუხდიათ...

გამოიკვეთა ორი პარტია – აფხაზეთის ჩამბარებელი მოღალატე „ქოცები“ და ომის რიტორიკის მქადაგებელი უპასუხისმგებლო პოპულისტი „ნაცები“. „გამოიკვეთა ორი პოზიცია: ადამიანებს ერთმანეთი. რაც მთავარია, ისინი იბრძვიან ფავორიტობისთვის, იმისთვის, თუ ვინ გახდება გარე პატრონების ფავორიტი, იქიდან გამომდინარე, რომ ფავორიტს მიაქვს მეტი დაფინანსება და ფავორიტი სარგებლობს მეტი პრივილეგიით“.

თავისას არ იშლის მიხეილ სააკაშვილი:

„იმ ახალი ინფორმაციით, რომელიც ახლა მომივიდა და მინდა გაგიზიაროთ, საკუთარი კაპიტულანტური პოლიტიკის კუთხეში მომწყვდეული ივანიშვილი ემზადება უახლოეს კვირეებში და თვეებში შემდეგი ნამიჯებისთვის:

– რუსეთთან ხელშეკრულების გაფორმებისთვის. დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისთვის, ანტი-დასავლური პაქტის შექმნისთვის.

– აფხაზეთის და ცხინვალის მარიონეტულ ხელისუფლებასთან ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულებისთვის ხელის მოწერისთვის და შესაბამისად მათი სუბიექტად აღიარებისთვის.

– აფხაზეთის რკინიგზის გახსნისთვის.

– საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადებისთვის.

...ან ახლა მაინც დავირაზმებით ყველანი, გავანძრევთ ხელს და დავამტკიცებთ, რომ ღირსი ვართ თავისუფლების,



1. „ქოცური“! ნდობის აღდგენა, რაც ფაქტობრივად იმეორებს ივანიშვილის „ბოდიში უნდა მოვიხადოთ“-ს და ითარგმნება, როგორც „აფხაზეთი უნდა დავივიწყოთ“.

2. „ნაცური“! აფხაზეთი უნდა დავიბრუნოთ ომით, რაც ფაქტობრივად ითარგმნება, როგორც უკიდურესი პოლიტიკური პოპულიზმი და ომის რიტორიკა“.

არ დააყოვნა და დისკუსიაში **მიხეილ სააკაშვილიც** ჩაერთო: **„პარტია „ახალი“ თავიდანვე ნაციონალური მოძრაობის გასაყოფად შექმნილი ბიზნესპროექტი იყო, რომელიც დაფინანსების შეწყვეტისთანავე დაიშალა. დღეს კი ნიკა მელიამ, ნიკა გვარამიამ და ელენე ხოშტარიამ გილაურებისგან ათობით მილიონი აიღეს. გილაურების კეთილდღეობა კი მთლიანად ივანიშვილზეა დამოკიდებული. ფულს ივანიშვილის ნებართვის გარეშე ვერ მისცემდნენ“.**

გვარამიამ პირადი შეურაცხყოფით უპასუხა ყოფილ მამა-მარჩენალს: **„ტრადიციულად ისევ გილაურების ფულზე ილაპარაკა გაიაგოხვიჩიებულმა პოლიტპატიმარმა. თურმე იმიტომ დაგვიჭირეს მე, ნიკა, ზურა და ელენე, რომ ბიძინა გადავაგდეთ (ანუ ბიძინასთან შეთანხმება დავარღვიეთ). ტალახში გორიალი სააკაშვილის არჩევანია და მასთან ერთად მე არ ვაპირებ ამ ჭუჭყის ზელას“** და ა. შ. და ა.შ.

პარლამენტარი ლევან მაჭავარიანი ასე გამოეხმაურა ოპოზიციაში არსებულ აურზაურს, კერძოდ, ანა წითლიძის განცხადებას, სადაც ის „კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთ ლიდერს ნიკა გვარამიას „რუსთავი 2-ის“, „მთავარი არხის“ და შემდეგ ნაციონალური მოძრაობის გაძარცვაში ადანაშაულებს: „ნაცებმა პირდაპირ აღიარეს, რომ ნიკა გვარამიამ „რუსთავი-2“ ნამდვილად გაძარცვა. ამ შემთხვევაში ისინი აღიარებენ იმას, რომ მათი მთავარი მოტივატორი არის ფული და ძალიან ადვილად იყიდებიან ფულზე. ვაკვირდებით, როგორ ეზიზღებათ ამ

ან გავქრებით როგორც ერი...ახლა უიმედობის კი არა, გადამწყვეტი შემოდგომისთვის მომზადების დროა!

ჩვენს თავს უნდა შევუძახოთ – ან ახლა ან არასდროს!“

აშკარად იკვეთება, რომ ძვლებში დაშლილი ოპოზიცია ცდილობს, ეს ახალი ეპიზოდი – ღარიბაშვილის ახალი სასამართლო პროცესი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამიტომაც არის, რომ მეტ კონკრეტიკას უკიუნებს. გვარამიაზურაბიშვილი აქეზებენ, შენი პოზიცია ბუნდოვანია, რადგან გაუგებარია, ებრძვი ბიძინა ივანიშვილს, თუ ჯერ კიდევ ლოიალობას უცხადებო.

აქვე ირაკლის ცოლისძმა **ლექსო თამაზაშვილი** სოციალურ ქსელში მიმართვას ავრცელებს: **„ძალიან გააქტიურდნენ სააკაშვილები და მათი მეტასტაზები. თქვენ ნუ გექნებათ მოლოდინი, რომ რამე გეშველებათ. მიუხედავად უამრავი უსამართლობისა და სიმინძურისა, რასაც ზოგიერთი ყოფილი „მეგობრისგან“ ვიგებთ, ირაკლი არასდროს დაასხამს წყალს ქვეყნის მტრების წისქვილზე. დარწმუნებული ვარ, იგი თავს მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დაიცავს“.**

მტერი „მეტ კონკრეტიკას“, „პოზიციის სინათლეს“ უკიუნებს, მოყვარე კი „მხოლოდ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში დაცვას“ ურჩევს.

აგერ, ამ დღეებში პოლიტიკიდან და სამსახურიდან მამუკა მდინარაძის წასვლამაც გამართა ნელში ოპოზიცია, რაკიდა ღარიბაშვილისთვის შეგზავნილ ნერილში სწორედ მამუკა მდინარაძე ფიგურირებს.

ვნახოთ, რა იქნება ხვალ...

ალეკო ასლანიშვილი

პრეზიდენტმა 226 პირი შეიწყალა!

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით 226 პირი შეიწყალა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, შეწყალება შეეხო 217 საპატიმრო და 6 არასაპატიმრო სასჯელის მქონე პირს, ხოლო 3 პირს ნასამართლობა მოეხსნა.

„საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ჰუმანიზმის პრინციპს და სახელმწიფო ინტერესს ეფუძნება“, □წერია ინფორმაციაში.

საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** მიერ მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით შეწყალებულ პატიმრებს შორის სხვადასხვა დროს საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირებიც მოხვდნენ.

შეწყალებულ პატიმრებს შორის არიან საბა ჯიქია, ფრიდონ ბუბუტეიშვილი, სიმონ მახარაძე, დავით ხომერიკი, გურამ ხუტაშვილი, დანიელ მუმლაძე, ავთანდილ თოფჩიშვილი და თორნიკე მჭედლიშვილი.

მეორადი ჩარიცხვის შესაძლებლობა მიეცა 1795 აბიტურიენტს

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 19 აგვისტოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, რომლის თანახმად, მიმდინარე წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამოცხადებული 39 689 აბიტურიენტიდან 34 150 აბიტურიენტი ჩაირიცხა უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

1795-მა აბიტურიენტმა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა, თუმცა ვერ ჩაირიცხა ვერცერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამის მიზეზი გახლდათ შემდეგი: მათ არჩეული ჰქონდათ მხოლოდ ერთი, ორი, ან რამდენიმე პროგრამა, რომელზე ჩარიცხვისთვისაც მიღებული ქულები არ აღმოჩნდა საკმარისი. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ყოველ წელს ფიქსირდება. თუმცა, ამის მიუხედავად, მეორადი ჩარიცხვების პრაქტიკა უკვე წლებია, აღარ მოქმედებს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვისას. გამომდინარე იქიდან, რომ დავიწყეთ უმაღლესი განათლების ეროვნული რეფორმა და მიმდინარე წელი გარკვეულწილად გარდამავალ პერიოდს წარმოადგენს, მხოლოდ წელს დავუშვებთ გამონაკლისს და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ინიციატივით, 1795 აბიტურიენტს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახეს, ე.წ. მეორადი ჩარიცხვის შესაძლებლობას ვაძლევთ.

სექტემბრის პირველ ნახევარში გამოცხადდება რეგისტრაცია სახელმწიფო და კერძო უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, რის შემდეგაც აბიტურიენტებს, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე გადალახეს მინიმალური ზღვარი, მიეცემათ შესაძლებლობა, დარეგისტრირდნენ აღნიშნულ პროგრამებზე.

გივი მიქანაძე,
საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრი.

საქმიანი შეხვედრა გომბორის მოხალისეთა მომზადების ცენტრში

გომბორის მოხალისეთა მომზადების ცენტრს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი, გენერალ-მაიორი **კოგა კოგალაძე** და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილი** ეწვივნენ.

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ცნობით, სტუმრებს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ პრეზენტაცია ორგანიზაციის სპიკერმა **თამარ საგაურმა** წარუდგინა და მათ ორგანიზაციის სტრუქტურა, სასწავლო პროგრამები და სამომავლო გეგმები გააცნო. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სტუმრები მოხალისეებს შეხვდნენ. გენერალ-მაიორი **კოგა კოგალაძე** მონაწილეებს მიესალმა და სასწავლო პროცესში წარმატებები უსურვა.

გიორგი კალანდარიშვილმა კი, მოხალისეებთან შეხვედრისას, საარჩევნო პროცესის ძირითადი ეტაპები და არჩევნებში მოქალაქის მონაწილეობის როლი განიხილა. მან მოხალისეებს მიაწოდა ინფორმაცია ამომრჩევლის რეგისტრაციისა და საარჩევნო სიებში მონაცემების გადამოწმების, არჩევნებში მონაწილეობის პროცედურებისა და საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის წესების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დეზინფორმაციის გავლენაზე საზოგადოებასა და საარჩევნო პროცესზე. საუბარი შეეხო მცდარი და მანიპულაციური ინფორმაციის ამოცნობის მნიშვნელობას, სანდო წყაროების გამოყენებასა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას.

გიორგი კალანდარიშვილმა დადებითად შეაფასა გომბორის მოხალისეთა მომზადების ცენტრის საქმიანობა და აღნიშნა, რომ ახალგაზრდების განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩართულობაზე ორიენტირებული პროექტები მისასალმებელია. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ □„საქართველოს გენერალთა კლუბის“ აღმასრულებელი დირექტორი **მალხაზ ჩიხლაძე**, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის კოორდინატორები **ვლადიმერ იმნაძე** და **კოგა ლიკლიკაძე.**

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაციის — გარემოს დაცვის ეკოცენტრი 40 წლისაა!

ეკოცენტრი დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებს!

საქართველოში კანონის ცვლილებასთან ერთად იცვლება ამ ორგანიზაციის იურიდიული სტატუსები, ჯერ გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია წყალდიდობებისა და წყალმოვარდნებისაგან გარემოს დაცვის ეკოცენტრი, ხოლო შემდეგომ წლებში კი ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრი.

ორგანიზაციას 2011 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გავარდაშვილი.

სამხრეთ კავკასიაში (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) წყალთა მეურნეობასა და გარემოს დაცვაში ინოვაციური სამეცნიერო-საინჟინრო მიმართულებების, ასევე მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა სივრცეში, 1985 წელს შეიქმნა ერთ-ერთი უმველესი არასამთავრებო ორგანიზაცია კოოპერატივი – „ჰიდროტექნიკოსი“. ამ ორგანიზაციის დამფუძნებლები იყვნენ აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა და პროფესორები – ფრიდონ შატბერაშვილი და ოთარ სიჭინავა.

აკად. გ. გავარდაშვილი ირიგაციის მსოფლიო მე-4 ფორუმზე მოხსენებისას. ქ. კუალა ლუმპური, მალაიზია, 13 სექტემბერი, 2025 წ

სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ყაზახეთში (შუა აზია) და სხვა რესპუბლიკებში განხორციელებული მრავალი საინჟინრო გარემოს დამცავი საერთაშორისო პროექტების განხორციელებისათვის, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში ეკოლოგიური განათლების ამაღლების მიზნით, ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, ტრეინინგებისა და ვორკშოპების საფუძველზე გაერომ 2019 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებით ეკოცენტრს მიანიჭა – გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაციის სახელი.

ვფიქრობ, ეს არის არასამთავრებო ორგანიზაციის ძალიან დიდი წარმატება. ამჟამად ეკოცენტრში ფუნქციონირებს ადმინისტრაცია, 3 დეპარტამენტი, მუშაობს 50-ზე მეტი მეცნიერ-თანამშრომელი, ინჟინრები და გააჩნიათ საერთაშორისო ურთიერთობები მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანასთან, მათ შორის ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიც არის – UN, UNESCO, EU, NATO, FAO, ICID და სხვ.

2020 წლის 10 იანვარს აღინიშნა გარემოს დაცვის ეკოცენტრის 35 წლის იუბილე, და ვარშავის (პოლონეთი) გარემოს დაცვისა და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორმა **ერეკი ერზნახმა** მკითხველს გაზეთ „GEORGIA TODAY“ 2019 წლის 10-13 იანვრის ნომერში დეტალურად მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ.

მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება იმ ინოვაციური პროექტებისა და გრანტების ნუსხის შესახებ, რომელიც გარემოს დაცვის ეკოცენტრმა აკადემიკოს **გივი გავარდაშვილის** ხელმძღვანელობით განახორციელა ბოლო 5 წელიწადში (2020-2025 წწ).

მკითხველს შევახსენებ, რომ შავი ზღვა თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, წარმოადგენს მრავალი ქვეყნების ინტერესის სფეროს, მათ შორის საქართველოსთვისაც. ამ მიმართულებით ეკოცენტრმა კერძო ფიზიკური პირის დაკვეთით 2020 წ. შეასრულა პროექტი სახელწოდებით – **„შავი ზღვის სანაპირო ზოლში ბათუმი-სარფის მონაკვეთში შტორმის შედეგად პლაჟების ეკოლოგიური რისკების შეფასება.** უნდა ითქვას, ეს ტერიტორია მდებარეობს საქართველო-თურქეთის საზღვარზე და იქ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და შტორმების მოქმედებით პლაჟების ნგრევის რისკების კვლევას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია ორივე ქვეყნისთვის.

2022 წელს ეკოცენტრმა სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შემდეგ შექმნა **პროექტი – „ზუგდიდში ნიკო დადიანის სასახლის სადრენაჟო სისტემების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება“** (დამფინანსებელი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ კულტურის ეროვნული სააგენტო). ნიკო დადიანის სასახლის ფუნდამენტის გრუნტის წყლებისაგან დაცვის მიზნით პროექტში დაპროექტებულია სამიარუსიანი ინოვაციური კომბინირებული დრენაჟი, რომლის სიახლის პრიორიტეტიც დაცულია საქართველოს პატენტის მოწმობით (პატენტ-მფლობელი **გ. გავარდაშვილი)**.

პროექტში – „ივანე ჯავახიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისათვის და ტერიტორიის წყალმოვარდნებისაგან უსაფრთხოების მიზნით ჰიდროლოგიური რეკომენდაციების მომზადება (დამფინანსებელი შპს „ბრე-ლაითი“, 2023 წ.) კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ივანე ჯავახიშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციისათვის და ტერიტორიის წყალმოვარდნებისაგან უსაფრთხოების მიზნით დამუშავებულ იქნა ჰიდროლოგიური რეკომენდაციები შემდგომი ეტაპისათვის წყალდიდობების კონტროლისათვის შესაბამისი საინჟინრო ღონისძიებების დაპროექტებისათვის.



მდინარე მლეთის ხევში აშენებული ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟის მიერ შეკავებული ღვარცოფული მასა

UNESCO-ს საგრანტო პროექტი – საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის მიერ გამოცხადებულ 2022-2023 წლების „მონაწილეობის პროგრამის“ ფარგლებში **– „ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“.** პროექტის მიზანი იყო ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისა და რისკების მართვის სამოქმედო გეგმის დამუშავება და დანერგვა, მოწყვლადი ინფრასტრუქტურის რისკების შეფასება მოსალოდნელი ბუნებრივი და ანტროპოგენური კატასტროფებით გამოწვეული საფრთხეების გათვალისწინებით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობა რისკების თანამედროვე დონეზე მართვასა და რეალიზაციაში, რომელიც ბუნებრივი და ანტროპოგენური კატასტროფების პრევენციისა და გაუვნებელყოფის მიზნით ეფექტური, ინტეგრირებული და თანმიმდევრული რისკების მართვის ეროვნული პლატფორმის შექმნის საშუალებას იძლევა. პროექტის განხორციელების პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების ამაღლების მიზნით ჩატარდა კონფერენციები ქ. თბილისში, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში. პროექტის ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჟიოს საჯარო სკოლის (დირექტორი ჟანა ახალკაციშვილი) ეზოში მოეწყო **იუნესკოს სახელობის მწვანე ხეივანი,** სადაც დაირგო 100-მდე მარად მწვანე მცენარე.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტი – „ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკური ბარაჟი“ (AR-18-1244). ინოვაციური საგრანტო პროექტის წამყვანი ორგანიზაცია არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ხოლო გრანტის თანამონაწილე კი – გარემოს დაცვის ეკოცენტრი (დამფინანსებელი **სამეცნიერო ფონდი)**. „გარემოს დაცვის ეკოცენტრის“ მიერ შესასრულებელი სამუშაო იყო პრაქტიკული სამეცნიერ-საველე კვლევები „საქართველოს მთიან რეგიონებში ისეთი ღვარცოფული ტიპის მდინარის შერჩევა, რომელზეც მოხდებოდა ინოვაციური ღვარცოფსაწინააღმდეგო ელასტიური ბარაჟის (პატენტ-მფლობელები **– გ. გავარდაშვილი, ე. კუხალაშვილი, შ. კუპრეიშვილი, ნ. გავარდაშვილი)** მშენებლობა და მისი ბუნებრივ პირობებში საველე გამოცდა „დანერგვა. ამ მიზნით ეკოცენტრის თანამშრომლების მიერ შერჩეული იყო მდინარე მლეთის ხევის წყალშემკრები აუზი (დუშეთის მუნიციპალიტეტი), რომელშიც განხორციელდა ინოვაციური „ღვარცოფსარეგულაციო

გუდაურში მთის ფერდობებზე მოწყობილი თოვლის ზვავის საწინააღმდეგო კონსტრუქცია

ელასტიკური გარაჟის მშენებლობა. საველე-სამეცნიერო კვლევებმა გვაჩვენა, რომ ნაგებობა არის საიმედო და პრაქტიკაში მუშაობს დიდი საიმედოობით.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებითა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით გარემოს დაცვის ეკოცენტრის თანამშრომლების მიერ (2021-2022 წწ) დამუშავდა საგრანტო პროექტი CARYS –19-305 „თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კომპლექსური ღონისძიება□(პატენტ-მფლობელი გ. გავარდაშვილი) საგრანტო პროექტის გეგმა-გრაფიკის მიხედვით სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გუდაურში აშენდა თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კონსტრუქციის საცდელი ნაგებობა, რომლის საველე-სამეცნიერო ექსპერიმენტები დღესაც გრძელდება.

ჩრდილო ატლანტიკური ორგანიზაციის „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის პროგრამის“ (NATO SPS) ფარგლებში დაფინანსებული საერთაშორისო პროექტი (NATO) SPS G6028 „შავი ზღვის უსაფრთხოებისა და დამინძურების რისკების კონტროლი ციფრული მოდელების გამოყენებით□ ნატოს პროექტის დირექტორი NPD □კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (CSU) ირიგაციის ტექნოლოგიის ცენტრის (CIT) დირექტორი, დოქტორი **ჩარლზ ჰაილიერი,** საქართველოდან □ნატოს პროექტის თანადირექტორი PPD, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **გივი გავარდაშვილი**, პროექტის თანამონაწილე ორგანიზაციები არიან – გარემოს დაცვის ეკოცენტრი (საქართველო), შემსრულებლები: პროფესორი **კადირ სეიჰანი** (თურქეთი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი **მიხაილო იაცენუკი** (უკრაინა), აკადემიური დოქტორი **დრაგოს მარინი** (რუმინეთი), პროფესორი **ემილ ბურნავსკი** (ბულგარეთი).

პროექტის მთავარი მიზანია შავი ზღვის ეკოლოგიური პარამეტრების კვლევა და პროექტის ფარგლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (სტუ) ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ფოთის ეკოლოგიურ ბაზაზე შავი ზღვის მეცნიერული კვლევის ობსერვატორიის დაფუძნება ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით.

* * *

2025 წელს ეკოცენტრის სახელმწიფო ტენდერში გამარჯვების შემდეგ კომპანიამ დაამუშავა პროექტი – „სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ დიდ ჯიხაიშში მდებარე ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმისა და გაღ-პარკის ტერიტორიიდან წყალგადაყვანის ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება□ დამფინანსებელი სსიპ კულტურის ეროვნული სააგენტო. პრო-

ექტი დასრულებულია, გაიარა სახელმწიფო ექსპერტიზა და დოკუმენტაციის მიხედვით პროექტი მზად არის მშენებლობის დაწყებისათვის.

2026 წლის დასაწყისში გარემოს დაცვის ეკოცენტრის ადმინისტრაციამ გააფორმა ხელშეკრულება ფიზიკურ პირთან, კერძოდ მაგისტრანტთან ლიკა თანდილაშვილთან საგრანტო პროექტში მდინარე დურუჯის კალაპოტში საველე სამეცნიერო და ლაბორატორიული კვლევების განხორციელებისათვის, ხოლო მეორე პროექტის შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით ევროკავშირის პროექტის შესრულებისათვის მდინარე ტანას წყალშემკრებ აუზში საველე – სამეცნიერო, ლაბორატორიული, საპროექტო სამუშაოებისა და ბუნებაში გარემოს დამცავი ღონისძიებების მოწყობაზე.

ვფიქრობ, გარემოს დაცვის ეკოცენტრის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოები იწვევს აღფრთოვანებას და დიდ შეფასებას და მე როგორც ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის პრეზიდენტი, კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩემს კოლეგას და მეგობარს აკადემიკოს გივი გავარდაშვილს და მის თანამშრომლებს ეკოცენტრის 40 წლის იუბილეს და ვუსურვებ კიდევ მრავალ წარმატებას, როგორც საქართველოში, სამხრეთ კავკასიის რეგიონში, ასევე მსოფლიო მასშტაბით.

თამაზ შილაკაძე,
აკადემიკოსი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

1878 წლის 25 აგვისტო აჭარის დედა-საქართველოში დაბრუნების დღეა

„ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით“!

1878 წლის 25 აგვისტო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღეა. 148 წლის წინათ, სწორედ ამ დღეს რუს-ქართველთა ლაშქარი კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილის, ინფანტერიის გენერალის დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის და პოლკოვნიკ გრიგოლ გურიელის წინამძღოლობით გათუმში შემოვიდა და ოსმალო დევრიშ ფაშასგან გათუმის გასაღები ჩაიბარა. სწორედ ამ დღიდან აჭარა გათავისუფლდა ოსმალთა 300-წლიანი ბატონობისაგან.ეს მოვლენა იყო დიდი ღამის გათენება აჭარაში, შვილის დედის კალთაში დაბრუნება.

აჭარელთა ეს სანუკვარი ოცნება განხორციელდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის ძლევამოსილი გამარჯვებისა და 1878 წლის ჯერ სან – სტეფანოს, ხოლო შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, რომელთა ძალით აჭარა, შავშეთი, იმერხევი, კოლა, არტაანი, ტაო-კლარჯეთი, ნიგალი და ჭანეთის მცირე ნაწილი რუსეთის იმპერიას გადაეცა და ამ გზით ეს ისტორიული ქართული მხარეები დედასაქართველოს დაუბრუნდა.

აღნიშნულ ომში დიადი გამარჯვება სწორედ რუსეთმა მოიპოვა, რაშიც მნიშვნელოვანი იყო ქართველთა წვლილი. ამ ომში 30 ათასზე მეტი ქართველი მონაწილეობდა. მედგარი ბრძოლისა და გმირობის მაგალითები გვიჩვენეს ქართველმა გენერლებმა იაკობ ალხაზიშვილმა, ზაქარია ჭავჭავაძემ, ალექსანდრე ქავთარაძემ, მიხეილ ამირეჯიბმა, ოფიცრებმა გრიგოლ გურიელმა, გიორგი ყაზბეგმა (რომლებიც მალე გენერლები გახდნენ) და სხვებმა.

ოსმალთა უღლისაგან აჭარის განთავისუფლების საქმეში ბევრი ადგილობრივი მონაწილეობდა, რომელთაგან მაინც გამორჩეული იყო ზემო აჭარის მმართველის და ასევე ქობულეთელი გულო კაიკაციშვილის ეროვნული ღვაწლი.

ამჯერად, სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის შერიფ ახმედის ძე ხიმშიაშვილის შესახებ უნდა გავამახვილო ყურადღება, რომელმაც პრაქტიკულად ხორცი შეასხა ეროვნული გმირის – თავისი პაპის სელიმ ხიმშიაშვილის ანდერძს, თავისი მამის ახმედ ხიმშიაშვილის დანაბარებს, გრიგოლ გურიელისა და მის მიერ შედგენილ გეგმას – აჭარისა და სხვა ქართულიმხარეების ოსმალთა უღლისაგან გამოხსნის შესახებ.

სწორედ ყოველივე ამ დამსახურების გამო იყო, რომ 1878 წლის25 აგვისტოს გათუმის და საერთოდ აჭარის დაბრუნებისადმი მიძღვნილი საზეიმო სუფრის თამადად, რომელსაც რამდენიმე ათასი რუსი ჯარისკაცი, ქართული სახალხო ლაშქრის ბევრი მონაწილე და დედასამშობლოში დაბრუნებული მხარეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, გათუმის ახლად დანიშნულმა გენერალ-გუბერნატორმა კომაროვმა, თამადობა გენერალ-მაიორ შერიფ ხიმშიაშვილს მიანდო.

შერიფ ხიმშიაშვილმა კი ამ დიდი ისტორიული მოვლენის, – ისტორიული ქართული მხარეების დედასაქართველოში დაბრუნების და ამ ეროვნულ საქმეში წვლილის შემტანთა სადღეგრძელო წარმოთქვა და განაცხადა: **„ეს იმათი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამ ომში მონაწილეობა მიიღო და ჩვენ ძველი და ახალი ქართველები ერთმანეთს შეგვაერთა. არც ჩვენგან და არც ჩვენი მომავალი თაობისაგან არ იქნება დავიწყებული მათი შრომა და ამაგი.“** ეს ბრძნული სიტყვები დღევანდელ ქართველ საზოგადოებასაც უნდა გვახსოვდეს. ეს დიდებული სიტყვები დღეს ჩვენც კარგად ჩაგვესმის.

* * *

2026 წლის 25 აგვისტოს გურამ ხიმშიაშვილი, თინათინ გიორგაძე, ჯუმბერ ხიმშიაშვილი და მეხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ გაკოში გავემგზავრეთ,სადაც განისვენებს საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის მებრძოლის, გენერალ-მაიორის შერიფ ხიმშიაშვილის ცხედარი, იქვეა მისი დედის, პატრიოტი ქალბატონის დუდიხანუმ ბეჟანიძის სფლავი, რომლებიც დიდი პატივისცემით მოვინახულეთ, უფალს შევავედრეთ მათი ნათელში ყოფნა.

აქ მოეყარათ თავი შუახევის, ხულოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს და ხელმძღვანელებს, გათუმელებს, ხიმშიაშვილებს, აბაშიძეებს, ბოლქვაძეებს, ტაკიძეებს, დავითაძეებს, კაკალაძეებს. კეკელიძეებს, ცეცხლაძეებს, ფუტკარაძეებს, ქამაშიძეებს და სხვა გვართა წარმომადგენლებს, ბაკოელებს....

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების დღესასწაულისა და შერიფ ხიმშიაშვილის ეროვნული ღვაწლის შესახებ მიძღვნილი ღონისძიება გახსნა ხიმშიაშვილთა საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელმა ვასო ხიმშიაშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი **ომარ ტაკიძე,** ხულოს მუნიციპალიტეტის მერი **ვახტანგ ბერიძე,** საქართველოს პარლამენტის წევრი **ანზორ ბოლქვაძე,** მე – ამ სტრიქონების ავტორი, **თინათინ გიორგაძე,** წაკითხულ იქნა **გურამ ხიმშიაშვილის** მიერ შერიფ ხიმშიაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, ასევე ლექსები წაიკითხა **გოგიტა ხიმშიაშვილმა,** გამოვიდნენ სხვებიც.

დავათვალიერეთ შერიფ ხიმშიაშვილის სახლ-მუზეუმი. სადღესასწაულო სუფრის თამადობა მიენდო ნიგაზეულის საჯარო სკოლის დირექტორს შაქრო ხიმშიაშვილს.

იყო საუბარი ყველა იმათ ღვაწლზე, ვინც საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობისათვის იბრძოდა და გაისარჯა, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით!..

ავთანდილ დიასამიძე,
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.
26 აგვისტო, 2026 წელი.

დეკანოზი გიორგი გოგიჩაიშვილი:

ეს არის სრული უმეცრება!



მარიამობის დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამდენად შორს არის საზოგადოების ნაწილი ელემენტარული ქრისტიანული აზროვნებისგან. პატრიარქ შიოს ქადაგებას, სადაც მან ეკლესიის ათასწლოვანი პოზიცია გაახმიანა, ისეთი ისტერიული კრიტიკა მოჰყვა, თითქოს სასულიერო პირები ავადმყოფებისთვის მკურნალობის აკრძალვას ითხოვდნენ, – წერს საბურთალოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, **დეკანოზი გიორგი გოგიჩაიშვილი,** სოციალურ ქსელში.

ეს არის ან სრული უმეცრება, ან ცინიკური ფარისევლობა. მოდით, ერთხელ და სამუდამოდაც გავარკვიოთ, რაზეა საუბარი და რას ეგრძვით:

1. მკურნალობა სხვაა, აგონიის გახანგრძლივება – სხვა! როცა იმედი არსებობს, მკურნალობა და ავადმყოფის მოვლა ქრისტიანის პირდაპირი ვალია. მაგრამ, როცა მედიცინა უძლურია, სხეული შეუქცევადად კვდება და აპარატი მხოლოდ მექანიკურად აკავებს გვამში სულს, ეს მკურნალობა კი არა, ტანჯვის გაჭიანურებაა.

2. ეს არის ეგოიზმი და არა სიყვარული, როცა მომაკვდავს ათასი მილებითა და აპარატით აბამთ სხეულზე, რომელსაც უკვე სიცოცხლე არ შეუძლია, ამას აკეთებთ არა მისთვის, არამედ საკუთარი შიშისთვის. თქვენ ვერ ეგუებით სიკვდილს და ამის გამო მომაკვდავ ადამიანს უაზრო აგონიაში ამყოფებთ.

3. ეს არის ღვთის ნებისადმი წინააღმდეგობა. სიკვდილი ამქვეყნიური გზის დასასრული და მარადისობაში გადასვლაა. როცა ადამიანის ჟამი დგება, სულის იძულებით დაკავება სხეულში არის ღვთის განგებულებასთან დაპირისპირება. რას ამბობენ ამაზე წმინდა მამები? წმინდა პაისი მთაწმინდელი: „ხშირად ადამიანები ეგოიზმით მოქმედებენ და სურთ, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნონ ახლობელი ცოცხალი, მაშინაც კი, როცა მისი სხეული უკვე კვდება. ექიმები მილებსა და აპარატებს უერთებენ მომაკვდავს და ამით მის ტანჯვას ახანგრძლივებენ. მათ არ ესმით, რომ სულს სურს გათავისუფლება და ღმერთთან წასვლა, ისინი კი მას იძულებით აკავებენ სხეულში. სიყვარული ის კი არ არის, ტანჯვა გაუხანგრძლივო ადამიანს, არამედ ის, რომ ილოცო მისი სულის მშვიდობიანი აღსასრულისთვის და ღვთის ნებას მიენდო.“

წმინდა იოანე ოქროპირი: „ნუ შევწინააღმდეგებით უფლის განჩინებას. როდესაც ხედავ, რომ ადამიანი მიდის ამ სოფლიდან და მკურნალობა უძლურია, ნუ ეცდები ღვთის განგებულების შეჩერებას. სიცოცხლის მიმცემი და მისი წამყვანი უფალია. როდესაც მისი ჟამი დადგება, ჩვენი ვალია არა სხეულის მიწიერი ჭერქვეშ ძალადობრივად დაკავება, არამედ სულის გაცილება ლოცვითა და სულიერი მშვიდობით.“

წმინდა პორფირი კავსოკალიველი: „როდესაც მედიცინა ვეღარაფერს შველის, ნურაფერს გააკეთებთ ხელოვნურად. მიენდეთ ღმერთს. უფალმა უკეთ იცის, როდის არის საუკეთესო დრო ადამიანის სულის წასაყვანად. ხელოვნური დამატებითი საშუალებები, რომლებიც მხოლოდ აგონიას წელავს, ხშირად ხელს უშლის სულს იმ სულიერ სიმშვიდეში, რაც მას მარადისობაში გადასვლის წინ სჭირდება.“

პატრიარქმა შიომ თქვა ის, რასაც ეკლესია 2000 წელია ასწავლის. სანამ „ჰუმანიზმის“ სახელით ტელევიზიებითა და სოციალურ ქსელებში ჭკუას დაარიგებთ, ჯერ საკუთარ უმეცრებას მიხედეთ და წმინდა მამათა სწავლებას ჩაუღრმავდით. ქრისტიანობა სულის გადარჩენაზე ზრუნვაა და არა გვამის ხელოვნური გაცოცხლება!“

მარტყოფში სახალხო-რელიგიური დღესასწაული „ღვთაებობა“ აღნიშნეს

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, ღვთაების მამათა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სახალხო-რელიგიური დღესასწაული „ღვთაებობა“ აღინიშნა.

საზეიმო ლიტურგიას გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი **დავით კარგარეთელი,** საქართველოს პარლამენტის წევრი **ირაკლი შატაკიშვილი** და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ავთანდილ ჭრიკიშვილი** ესწრებოდნენ.

ასევე გაიმართა სპორტული ღონისძიებები ქართულ ჭიდაობასა და მკლავჭიდში. შეჯიბრებაში გამარჯვებულ სპორტსმენებს სიგელები, მედლები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. 29 აგვისტო მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულია – სწორედ ეს წმინდა ხატი ჩამოაბრძანა საქართველოში VI საუკუნეში 13 ასურელ მამათაგან ერთ-ერთმა, წმინდა ანტონ მარტყოფელმა, რასაც უკავშირდება „ღვთაებობის“ ტრადიციული დღესასწაულის აღნიშვნა.

ზურაბ პატარაძე ხულოს სოფლებში, ღორჯომსა და დიდაჭარაში მოსახლეობას შეხვდა

ხულოს მუნიციპალიტეტში, ღორჯომის ხეობასა და სოფელ დიდაჭარაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურად მიმდინარეობს. სამუშაოებს აჭარის მთავროების თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეგიონში ინფრასტრუქტურული და ტურისტული პროექტების განხორციელება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა ხელისუფლების მთავარ პრიორიტეტად რჩება.

ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით მასშტაბური ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ითვალისწინებს გარემოსთან ადაპტირებული ღია მანეჟის, დახურული თავლის, ადმინისტრაციული ცენტრისა და წრიული საცხენოსნო ბილიკების მოწყობას. ერთ ჰექტარზე განთავსებული ღია მანეჟი როგორც მოყვარულ, ისე პროფესიონალ ცხენოსნებს მოემსახურება. ზურაბ პატარაძემ სოფელ დიდაჭარაში ადმინისტრაციული ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოებიც დაათვალიერა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

განცხადება

1 სექტემბერი, 2026

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს გამოჩენილ აგრარიკოს მეცნიერთა სახელოგითი აკადემიური პრემიის მოსაპოვებლად:

1. აგრონომიის დარგში – **ლეონარდ დეკაპრელევიჩი** სახელოგის პრემია
2. მეცხოველეობის და ვეტერინარიის დარგში – **ნესტორ გოცირიძის** სახელოგის პრემია
3. აგროინჟინერიის დარგში – შალვა კერესელიძის სახელოგის პრემია
4. გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის დარგში – **სოლომონ ქურდიანის** სახელოგის პრემია
5. სურსათის უვნებლობის და სასურსათო ტექნოლოგიის დარგში – **სერგო დურმიშიძის** სახელოგის პრემია
6. ეკონომიკის დარგში – **ირაკლი მიქელაძის** სახელოგის პრემია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინო თეორიული ან პრაქტიკული მნიშვნელობის მეცნიერული ნაშრომი (მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული შრომა ან შრომათა ციკლი), რომელიც საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორთა ჯგუფის ან ცალკეულ პირთა მიერ არის შესრულებული. კოლექტიურ ნაშრომში პრემია მიეცემა იმ ავტორებს, რომელთაც რეკომენდაციას გაუწევს წარმომდგენი ორგანიზაცია.

პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნდა ბოლო ათი წლის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს ექვსი თვისა განცხადების გამოქვეყნებამდე.

ნაშრომი, რომელსაც ადრე მიენიჭა სახელმწიფო პრემია ან რომელიმე სხვა სამეცნიერო პრემია, ამ კონკურსში არ მიიღება.

ერთსა და იმავე პირს ერთი და იგივე პრემია განმეორებით არ მიეცემა.

იმ ორგანიზაციებმა ან ცალკეულმა პირებმა, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში პრემიის მოსაპოვებლად წარმოადგენენ კანდიდატს, უნდა მიუთითონ პრემიის დასახელება.

კონკურსში მონაწილემ საჭიროა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) საკონკურსო სამეცნიერო ნაშრომი სამ ცალად;

ბ) დასაბუთებული წარდგინება, რომელიც შეიცავს ნაშრომის მეცნიერულ დახასიათებას, მის თეორიულ ან პრაქტიკულ მნიშვნელობას

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის;

(ნაშრომი პრემიის მოსაპოვებლად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო საზოგადოებების, სამეცნიერო ცენტრების ან შესაბამისი დარგის წამყვან მეცნიერთა და სპეციალისტთა მიერ).

გ) მონაცემები ავტორის შესახებ (საანკეტო მონაცემები CV); ძირითად სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა ნუსხა;

დ) წარმომდგენის დასტური იმის შესახებ, რომ კონკურსზე წარმოდგენილ ნაშრომს ადრე არ ჰქონია მინიჭებული პრემია.

ე) ყველა საკონკურსო დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

მასალები პრემიის მოსაპოვებლად წარმოდგენილ უნდა იქნეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ივანე ჯავახიშვილის 51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის კანცელარია.

საბუთები მიიღება ყოველი სამუშაო დღის 11^{00} „დან 17^{00} საათამდე.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელ. 593 58 01 37.

ღვაწლმოსილი სელექციონერის სამეცნიერო გზა

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების მკვლევარსა და სელექციონერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილს მიმდინარე წლის 29 აგვისტოს დაბადებიდან 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოსი ვაჟა კვალიაშვილი 90 წლისაა

ვაჟა კვალიაშვილი 1936 წლის 29 აგვისტოს გორში, პედაგოგის ოჯახში დაიბადა. მის სამეცნიერო არჩევანზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია პაპამ, ცნობილმა სელექციონერმა **ვ. გესტავაშვილმა.** სწორედ მისი საქმიანობის გაცნობამ ადრეულ ასაკშივე გაუღვივა ახალგაზრდა ვაჟა კვალიაშვილს ინტერესი სელექციისა და მცენარეთა გენეტიკის მიმართ, რომელსაც შემდგომ მთელი თავისი პროფესიული ცხოვრება მიუძღვნა.

1954 წელს მან გორის რკინიგზის N11 საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის ფაკულტეტზე გააგრძელა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1960 წლიდან, მისი სამეცნიერო საქმიანობა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სკრის საცდელ სადგურს დაუკავშირდა, სადაც სხვადასხვა დროს მუშაობდა უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად, განყოფილების გამგედ, მოგვიანებით კი – დირექტორად. 1971-1973 წლებში იყო გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე და მთავარი აგრონომი, შემდეგ – დირექტორი. 1973-1983 წლებში იყო გორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე, შემდეგ – კასპის რაიკომის პირველი მდივანი. 1983 წლიდან მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა სამეცნიერო დარგში, ხოლო 2006 წლიდან ინსტიტუტის ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყოფილებაში მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად აგრძელებდა საქმიანობას.

ვაჟა კვალიაშვილის სამეცნიერო კარიერის მნიშვნელოვანი ეტაპი 1969 წელს საკანდიდატო დისერტაციის დაცვა იყო. ნაშრომი – „ვაზის ჰიბრიდული ფორმების ზოგიერთი ბიოლოგიური თვისებების შესწავლის შედეგები შუა ქართლში“ – ვაზის სელექციის საკითხებს ეძღვნებოდა. 2002 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ატმის სელექცია საქართველოში“ და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 2003 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2013 წელს – ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებებია ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების გენეტიკა და სელექცია, ქართული გენოფონდის შესწავლა, ჯიშთაშორისი ჰიბრიდიზაცია, ინდუცირებული მუტაგენეზი და სელექციისათვის საწყისი მასალის შექმნა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მრავალწლიანი კვლევები ქართული ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების გენეტიკური რესურსების გამოვლენის, მათი ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლისა და სელექციურ პროცესში გამოყენების მიმართულებით.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად ვაზისა და ატმის ჰიბრიდული ფონდებიდან მან გამოარჩია მაღალი სამეურნეო ღირებულების მქონე მრავალი ახალი ჯიში და ფორმა. ხელოვნური ჰიბრიდიზაციით მიღებული აქვს ყურძნისა და ატმის 30-მდე ახალი ჯიში. მათ შორისაა ატმის ჯიშები „ატენური ყვითელი“, „შაქარგული“, „შარიამი“, „ვაჟური“, „ნუგური“, „გორის ყვითელი“ და სხვ. ვაზის ჰიბრიდულ ფორმებს შორის აღსანიშნავია „გორული თეთრი“, „წვრილმარცვალა“, „ბესტავაშვილის თავკვერი“ და განსაკუთრებით „ორსქესიანი თავკვერი“, რომელიც შუა ქართლის პირობებში მაღალხარისხოვან წითელ საღვინე მასალას იძლევა.

მეცნიერის კვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე ვაზისა და ატმის ჯიშების კომბინაციური უნარიანობის, მორფოლოგიური ნიშნების, ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებების შესწავლას. ამ კვლევებმა საფუძველი დაუდო მიზნობრივი სასელექციო პროგრამების შემუშავებასა და საქართველოს პირობებისათვის პერსპექტიული ჯიშებისა და ფორმების შერჩევას.

ვაჟა კვალიაშვილი წლების განმავლობაში იკვლევდა არა მხოლოდ ვაზსა და ატამს, არამედ ვაშლის, მსხლის, გარგარის, ქლიავის, კაკლის, მაყვლისა და სხვა კულტურების ქართულ გენოფონდსაც. მისი შრომები ეხება ქართული გენოტიპების ბიოლოგიურ თავისებურებებს, მათი გენეტიკური და სელექციური ღირსებების შეფასებას, დაკარგული ჯიშების მოძიებისა და აღდგენის აუცილებლობას და ქართული გენოფონდის ახალი, მაღალხარისხოვანი სელექციური ფორმებით გამდიდრებას.

მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა 130-მდე ნაშრომს მოიცავს, მათ შორისაა წიგნი და 10 რეკომენდაცია. არის სამი პატენტის მფლობელი. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში და საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ საერთაშორისო კონგრესებში, სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. 1983–2006 წლებში იყო მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულის რედაქტორის მოადგილე, კოშინოვის „მებაღეობის ენციკლოპედიის“ (მოლდოვა) სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხოლო 1996–2005 წლებში „გორის სასწავლო უნივერსიტეტში მევენახეობისა და მეხილეობის მიმართულებით ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და ლექციებს კითხულობდა.

ვაჟა კვალიაშვილის სამეცნიერო საქმიანობა არაერთი ჯილდოთი და მაღალი პროფესიული აღიარებით აღინიშნა. იგი არის მეხილეთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიისა და საქართველოს მიზნესის მეცნიერების აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი. დაჯილდოებულია ნ. ვავილოვის სახელობის საიუბილეო მედლით, ორდენებით – „შრომის წითელი დროშისა“ და „შრომითი მამაცობისათვის“. იგი გორის საპატიო მოქალაქეა.

აკადემიკოს ვაჟა კვალიაშვილის მრავალწლიანი მოღვაწეობა ქართული მევენახეობისა და მეხილეობის განვითარებას, ეროვნული გენეტიკური რესურსების შესწავლასა და მათ სელექციურ გამოყენებას უკავშირდება. მისი სამეცნიერო საქმიანობის მთავარი ღირებულება სწორედ ამ მიმართულებების ერთიანობაშია – ქართული ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების გენოფონდის შესწავლა, მისი შენარჩუნება, გამდიდრება და პრაქტიკული სელექციისთვის გამოყენება.

90 წლის იუბილე ღირსეული დრო იმ სამეცნიერო გზის შესაფასებლად, რომელიც აკადემიკოსმა ვაჟა კვალიაშვილმა ექვს ათეულზე მეტი წლის განმავლობაში განვლო და რომელიც ქართული მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების საქმეს მიუძღვნა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს გატონ ვაჟა კვალიაშვილს დაბადებიდან 90 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, შემოქმედებით ენერგიასა და ახალ სამეცნიერო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ცხოვრება ხელოვანის მეხსიერებაში შემორჩენილი ლეგენდებისა

ქართველმა მკითხველმა მიიღო ცნობილი პუბლიცისტისა და ვოკალისტის, მეცნიერების ასოციერებული დოქტორის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, ქართული კულტურის ამაგდარის გელა ქოქიაშვილის მეტად საინტერესო წიგნი „მეხსიერების საგანძურში შემორჩენილი სახელები“, რომელიც 55 პუბლიცისტურ წერილს მოიცავს და ავტორის მიერ გამოცემული 15 წიგნისა და 110-ზე მეტი პუბლიცისტური ნარკვევის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს.

წიგნის რედაქტორი გახლავთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი მამუკა ვაშაკიძე, რომლის წინათქმიდან მეტად საინტერესო პუბლიცისტური წერილების ნაკრების დახასიათების მოკლე ამონარიდს გთავაზობთ – „უდავოდ ბედნიერება მხვდა წილად, ვყოფილიყავი ამ მეტად არაჩვეულებრივი წიგნის რედაქტორი და მონაწილეობა მიმეღო იმ დიდი სიამოვნების განცდაში, რომელიც ხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველს ელოდება წინ.

ეს წიგნი ხომ იმ დიდი სერიალის გაგრძელებაა, რომელიც გელა ქოქიაშვილის მიერ ამ თემაზე შექმნილ არაერთ ლიტერატურულ კრებულს მოიცავს, ქართველი მკითხველისთვის მართლაც სამაგიდო წიგნებად რომ ქცეულა“.

ხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველს მართლაც დიდი სიამოვნება ელის ამ ოთხასგვერდიანი წიგნის წაკითხვისას, რომელიც გამომცემლობა „მწიგნობარმა“ შესანიშნავი პოლიგრაფიული ხარისხით გამოიცა. მკითხველს არ გაუკვირდება პროფესიულ დონეზე შექმნილი ჩანახატები საოპერო ხელოვნების კორიფეებზე, ქართველ მომღერლებზე, რომელთა ცხოვრებაც ლეგენდებად შემორჩა ისტორიას, აგრეთვე ქართულ მოაზროვნეებსა და მხატვრებზე საინტერესო ცხოვრებისეული ამონარიდები, რადგან ავტორი თავად გახლავთ შესანიშნავი მომღერალი, დოკუმენტალისტი, მთარგმნელი და ასობით პუბლიცისტური წერილის ავტორი.

გელა ქოქიაშვილმა ნახევრი საუკუნეზე მეტია, რაც წარმატებით დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტი დიდი დავით ანდღულაძის კლასით. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სიმღერის საკავშირო და რესპუბლიკურ კონკურსებში, მთავარ საოპერო პარტიებს ასრულებდა ქუთაისის საოპერო თეატრისა და თბილისის საოპერო სტუდიის სპექტაკლებში.

მას რესპუბლიკის მასშტაბით 400-ზე მეტი სოლო კონცერტი აქვს გამართული უანგაროდ. სწორედ მისი ინიციატივით დაარსდა ქალაქ სიღნაღში საქვეყნოდ აღიარებული მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სიმღერის დღესასწაული „ვანოობა“, სადაც თავად 12 წლის განმავლობაში გამოდიოდა სოლო პროგრამით. გელა ქოქიაშვილის უშუალო მონაწილეობითა და მონდომებით სიღნაღში ხელახლა აღდგა ვანო სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმი.

გადაიღო და მაყურებელს წარუდგინა უაღრესად საინტერესო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ვანო სარაჯიშვილზე – **„ტკბილ ჰანგთა მეფე“**, მისი ავტორობით გამოვიდა წიგნი ლეგენდარულ მომღერალზე – **„ვანო სარაჯიშვილი – ლეგენდად ქცეული ორფეევსი“.** რახან წიგნებს შევეხეთ, აქვე აღვნიშნოთ, რომ გელა ქოქიაშვილის კალამს ეკუთვნის ლეგენდარული მარია კალასის წიგნის **„მარია კალასის სასიყვარულო წერილების“** ქართული თარგმანი.

მისივე გამოცემულია 27 ვოკალური ნაწარმოებისგან შექმნილი კომპაქტ-დისკი, სადაც ჩაწერილია გელა ქოქიაშვილის მიერ შესრულებული ქართველ კომპოზიტორთა რომანსები, ხალხური „ურმული“, ნეაპოლიტანური სიმღერები და იტალიური საოპერო არიები.

ამ მოკლე წერილში თავს არ შეგაწყენთ ამ დაუღალავი, მეტად ერუდირებული ადამიანის მიღწევებითა და გატაცებებით, რომლის შესახებაც წიგნის წინასიტყვაობაში გაიგებთ, უმჯობესია, თავად „დააგემოვნოთ“ ეს შესანიშნავი წიგნი, რომელიც მართლაც უნიჭიერესი ავტორის მეხსიერებაში შემორჩენილი სახელების გაცნობით დაგატკბობთ.

ავთანდილ ბექაური

თამაზ ხმალაძე — „ქართული სიტყვიერების ხმალამოღებული რაინდი“

(პირველი გვერდიდან)

თამაზ, მოდი, სიღნაღიდან დავიწყოთ. შენს საყვარელ მწერალს, ოთარ ჭილაძეს, აქვს ასეთი ღიმილიანი ჩანაწერი: „დიდხანს ვფიქრობდი, სად დავბადებულიყავი და ბოლოს ეს ადგილი ავირჩიე. სიღნაღი. მართლაც საოცარი ადგილია.“ შენ რას იტყვი?

თამაზ ხმალაძე – ოთარს საშუალება ჰქონდა არჩევანისა გათუმსა და სიღნაღს შორის... ჩემი არჩევანი კი რამდენიმე საუკუნით ადრე განსაზღვრეს წინაპრებმა, როცა მესხი ხმალაძეები ქიზიყში დასახლდნენ და სოფელი ხმალაძიანი (ამჟამად ნასოფლარი) დააფუძნეს. დედაც ქიზიყელი მყავდა, მაშნაარელი. ასე რომ, ქიზიყი დაბადების ადგილად წინაპრებისა და ღვთის ნაწყალობებია.

გ. გ. – ჩვენს ასაკში ჩვეულებრივ უკან ვიხედებით, იქ მეტი მრავალფეროვნებაა... (წინ „მოკლე მანძილია“ და „ბუნდოვანი“..). ჩვენც სიჭაბუკისკენ გავიხედოთ... ვთქვათ ასე: შესაძლებელი რომ ყოფილიყო, 80 წლის თამაზ ხმალაძე რას ურჩევდა 18-20 წლის თამაზ ხმალაძეს?

თ. ხ. – რა გითხრა აბა... ეგ ხომ ამაო გარჯაა; ისე, სადაც სამართალია, შენც უნდა გახსოვდეს, ამ სამოციოდე წლის წინათ არცთუ ცოტას ვურჩევდით მეცა და ჩემზე ბევრად ჭკვიანი ხალხი... „ბევრი ბევრ რასმე ეტყოდა, მაგრამ ვინ მოისმინებდა“.. ის მაინც თავისას ეძალებოდა... არ მისმენდა და ნუ მისმენდა, ღმერთმა ხელი მოუმართოს... ერთი კაცის პირობაზე მაინცდამაინც ცუდად არ უვლია, ესეც უდავოა.

გ. გ. – ეს პასუხი ასე უნდა გავიგოთ ალბათ: 18-20 წლის თამაზ ხმალაძემ თავისი გზით, თავისი ჭკუით იარა და მოვიდა დღემდე... მოდი, კითხვას ამგვარად შევაბრუნებ: 80 წლის თამაზ ხმალაძე როგორ აფასებს ამ განვლილ გზას? სწორად იარა ყმაწვილმა ხმალაძემ?

თ. ხ. – რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უკეთ... თუმცა ახლა ამაზე საუბარი დროის ფუჭად ხარჯვაა... მადლობა უფალს ყველაფრისთვის: რის გაკეთებაც შევძელი და შენდობას ვთხოვ იმისათვის, რის გაკეთებაც შემეძლო და ვერ (ან არ) მოვახერხე...

გ. გ. – თამაზ, ჩვენ უნივერსიტეტელები ვართ. უნივერსიტეტელობა რაღაც გარკვეული დროის მანძილზე დასაქმების ფორმა კი არ არის, მარადიული მონაპოვარია, ბედის საჩუქარია, ღირსების საქმეა...

თ. ხ. – ასე გვწამდა ყოველთვის, არც გვიფიქრია სხვაგვარად არასოდეს...

გ. გ. – შეგიძლია წარმოიდგინო, რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება უნივერსიტეტის გარეშე? გიფიქრია ამაზე?

თ. ხ. – მიფიქრია რას ჰქვია... ამ მხრივ, ვგონებ, ვერც შენა და ვერც მე წლებმა აზრი ვერ შეგვაცვლევინა. დედაუნივერსიტეტის როლი მეოცე საუკუნის საქართველოს განათლებისა და კულტურის ისტორიაში განუზომელია. მას ჩემი ქება და ხოტბა ბევრს ვერაფერს შესძენს... აი, რაც შემეხება მე: თუკი რამე არის ჩემში ღირებული და ფასეული, ალბათ ნახევარი მაინც მისი მადლია... საერთოდ, მადლიანია უნივერსიტეტი, შეიძლება ვცოდავ, მაგრამ მის წინაშე პირჯვარს უნდა ვიწერდეთ. ის ტაძარია და ტაძრის სიწმინდეს, იქ როდის რომელი და როგორი მღვდელი სწირავს, იმის მიხედვით არ უნდა ვაფასებდეთ...

გ. გ. – დედაენისადმი სიყვარულიც უნივერსიტეტმა განამტკიცა ჩვენში; ქართული ენისადმი ფაქიზი და თამამი დამოკიდებულების უფლებაც მან შეგვძინა... დედაენის ყოველ კუთხე-კუნჭულში მისასვლელი გზა-ბილიკებიც მან გაგვიკვალა... ამ გზა-ბილიკებზე როგორი მეგზურები მოგვიჩინა?!... ამიტომაც, როცა ამგვარ თემებზე ვაპირებ საუბარს, შემწეობას დედაუნივერსიტეტს შევსთხოვ...

თ. ხ. – გეთანხმები. უნივერსიტეტის როლი სხვაგვარად ვერ შეფასდება... ვუთხრათ სამადლობელი დედაუნივერსიტეტს...

გ. გ. – თქმულა, „პიროვნებას სახელი ამშვენებსო“.. ბევრმა შეიძლება არც იცის, რომ თამაზ ხმალაძეს ოფიციალურ დოკუმენტებში აკაკი ჰქვია; რომელია ის სახელი, იუბილარის „პიროვნებას რომ ამშვენებს“ – აკაკი თუ თამაზი?

თ. ხ. – ჩემი დასაწუნი არც აკაკის სჭირს რამე და არც თამაზს. ეს ერთი ჩვეულებრივი შემთხვევითობაა (თუმცა ამბობენ: ყველა შემთხვევითობა აუცილებლობით არის გამოწვეულიო). როცა დავბადებულვარ, ბებო წასულა საბჭოში, საკომლო წიგნში აკაკის სახელით მას გავუტარებივარ. თამაზი ჩემს უფროს ძმას დაურქმევია. შინაც და სანათესაო-სამეზობლოში თამაზს მეძახდნენ, სკოლაში რომ შევედი (ხუთი წლისა), მაშინ გავიგე, რომ აკაკი ვყოფილვარ. მერე, სკოლის პერიოდში, როცა სიღნაღის რაიონულ გაზეთში ლექსების ბეჭდვა დავიწყე, რატომღაც ფსევდონიმი მოვინდომე და რაღა შორს წავსულიყავი, ჩემივე არაოფიციალური სახელი ავიღე..

გ. გ. – ლაღაზე რას მეტყვი: სამეგობროში, ახლობლობაში ამ მეტსახელით გიცნობენ...

თ. ხ. – ისე, სწორი გითხრა, ჩემს ორივე სახელს (აკაკისაც და თამაზსაც) ლაღა მირჩევნია...

გ. გ. – ლაღა? რატომ?

თ. ხ. – ალბათ იმიტომ, რომ ისეთი მინდა ვყოფილიყავ, როგორიც სხვათა თვალში ვჩანდი და რის გამოც ეს მეტსახელი „დავიმსახურე“, მაგრამ სინამდვილეში არ თუ ვერ ვიყავი (გავხდი) ლაღი... „რომ ვიმღერ, განა ლაღი ვარ?!“.

გ. გ. – ლაღამ გამახსენა: იმ გარემოში, სადაც შენი პერსონაჟების უმეტესობა ცხოვრობს, სადაც შენ გაატარე ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები, მეტსახელების სისტემა სხვა კუთხესთან შედარებით უკეთ არის განვითარებული. ხშირად გავუოცებივარ, ისეთი მეტსახელი შემხვედრია (თავისი შინაარსით, ფორმით, ჰუმანური გააზრებით...). ასე იყო მაშინაც, ერთმა სიღნაღელმა ქალბატონმა, ჩემმა სტუმარმა, ჩემთან რომ გნახა, მკითხა, ეს „ქვეყნის დარდის“ შვილი არ არისო? მაშინ გავიგე, რომ მამაშენს სიღნაღში ამ მეტსახელით იცნობდნენ (გიორგი ხმალაძე – „ქვეყნის დარდი“)... რას იტყვი კონკრეტულად ამ მეტსახელზე და იმაზეც, როგორ აღიქვამდი მამის მეტსახელს: ქვეყნის დარდის შვილობა ტვირთი იყო თუ პასუხისმგებლობა? ალბათ, გიფიქრია ამ თემაზეც...

თ. ხ. – „ცოცხალ კაცს დარდს რა გამოუღევს, ჭკუათმყოფს დარდი ულევი აქვს“ (რ. ამაშუკელი). მაგრამ დარდიც არის და დარდიც; ზოგის გულისთქმა იმის იქით არ მიდის: წინ რომ ჯამი მიდგას, რატომ პირთამდე სავსე არ არისო. კაცად კი მაშინ ხარ საქები, როცა მოყვასის საწუხარს საკუთარზე წინ დააყენებ, ქვეყნის დარდს შენს დარდად აქცევ და იმდენს შეძლებ, რომ ეს სხვებმაც დაინახონ და დაგიფასონ („ქვეყნის დარდი“ დაგიძახონ)... ამ ზედმეტმა სახელმა (ქვეყნის დარდი) გარკვეულწილად შემდგომში ჩემი ცხოვრების წესიც განსაზღვრა.

გ. გ. – ცხადია, ნინველი თამაზ ხმალაძე ფიქრობდა მწერლობაზე. ასეთ შემთხვევაში ყმაწვილკაცები ჩვეულებრივ საუნივერსიტეტო განათლებას ლიტერატურათმცოდნეობის ან ჟურნალისტიკის სპეციალობით იღებენ. შენ ენათმეცნიერული მიმართულება ირჩიე – კავკასიურ ენათა განყოფილება დავამთავრეთ. როგორ ახსნი ამ ფაქტს?

თ. ხ. – გვიან წავიკითხე ქალბატონი ანა კალანდაძის განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ გააკეთა მან ასეთი არჩევანი – რატომ შევიდა უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე და ძალიან მომწონს: „მე რომ იმთავითვე ჩემდაუნებურად ენის, გრამატიკის „ცივ“ სამეფოში აღმოვჩნდი, ამას ბედისწერად ვთვლი, ჩემს ბედისწერად, „ეს ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, მხოლოდდამხოლოდ ასე! კავკასიური ენების განყოფილებისაკენ ჩემი პოეტური ბუნება მეწეოდა; მეწეოდა, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის ეგზოტიკა! (...) მაშ არ იყო ეს ბედისწერა?!“ დიდებულია, მაგრამ ეს ქალბატონი ანაა!..

ჩემდათავად კი ამას დავამატებდი: სამწუხაროდ, ჩვენს სურვილებს ცხოვრება ნაკლებად უწევს ანგარიშს, საწადლის ასრულება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. უამრავი თითქოს ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოვლენა ერთდროულად მოქმედებს ჩვენს მომავალზე და დასახულ გეზსა თუ მიმართულებას გვაცვლევინებს...

გ. გ. – თამაზ, გვითქვამს: ჩვენი ცხოვრების აზრი და მიზანი ქართული ენის მსახურებაა... დედაენისადმი ინტერესის აღძვრასა თუ განვითარებას ვინ (ან რამ) შეუწყო ხელი? ეს, ცხადია, არ ხდება მას შემდეგ, რაც სამწერლო გზას დაადექი; მჯერა, რომ მწერლობამდეც ამ ინტერესმა მიგიყვანა... მე ერთი ასეთი ფაქტი მაგონდება ჩვენი სტუდენტური ცხოვრებიდან: პირველკურსელებს სემინარი უნდა გვქონოდა „ბილიის“ თემაზე ნეტარხსენებულ რეზო სირაძესთან (დიდებულ პიროვნებასთან); საგანგებოდ ვემზადებოდით; ჩვენს საუბარს დედაშენი ისმენდა. ახლაც მახსოვს ზოგი რამ ქალბატონი მარიამისგან განმარტებული და ახსნილი... შეგიძლია გააგრძელო ეს თემა?

თ. ხ. – სიამოვნებით გავაგრძელებ, მადლობელიცა ვარ, ამის საშუალება რომ მომეცი. დედაჩემს დედა ცხრა წლისას გარდაეცვალა, მამა „თორმეტისას. ჩვიდმეტისა მამაჩემზე დაქორწინებულა. ობლისათვის მზითევში „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გამოუტანებიათ, მაგრამ „სახარება“ მოუყოლებია თან (ბარემ ამასაც გეტყვი: ეს რომ გავიგე, ახლა გახსენებაც კი მეუხერხულება ჩემი სიყმაწვილის დროინდელი „ხუმრობისა“ შეიძლება მისმა პატრონმა სახარება თავიდან მოიშორა-მეთქი... რას ვიზამთ, მაშინ დრო იყო ასეთი)... კონსტანტინე გამსახურდიას ერთი გმირი ამბობს: დაანებეთ წერას თავი, რაც სათქმელი და დასაწერი იყო, „ბილიასა“ და „ვეფხისტყაოსანში“ უკვე დაიწერაო. ჰოდა, დედაჩემსაც, „რაც წასაკითხი“ იყო, წაკითხულიცა ჰქონდა და კარგადაც ერკვეოდა (მისეული სხვაც ბევრი წიგნი შემოგვრჩა აქამდე).

ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი ლეილა შალვაშვილი, შენც კარგად გახსოვს, ჩვენი ახლო ნათესავი იყო. ჩემს ბავშვობაში საათობით უჯდა დედაჩემს და მის ნაუბარს იწერდა. თავიდან ეს მაღიზიანებდა, დედაჩემის ნათქვამ შეცდომებს ინუსხავს-მეთქი. მაგრამ მერე ამ საქმიანობამ მეც გამიტაცა და ჩემი ლექსიკონის შედგენა დავიწყე. ეხლაც ბევრი იმდროინდელი სიტყვა შემომრჩა ჩანერილი, რომელსაც ვერცერთ და ვერანაირ ლექსიკონში ვერ იპოვი, თუმცა საჭირო და საინტერესო კი მგონია.

ვნანობ, რომ დედაჩემისგან ის სიმდიდრე სრულად ვერ ავითვისე. თუნდაც შინაარსობრივადაც და დიალექტოლოგიური თვალსაზრისითაც საინტერესო ის ხალხური პოემები, რომლებიც დედაჩემმა ზეპირად იცოდა და ჩემს მეხსიერებას მხოლოდ რამდენიმე სტროფი შემორჩა.

გ. გ. – თამაზ, ამ ჩვენს მოკლე საგაზეთო საუბარს ვერ დავასრულებ ისე, ეს რომ არ გკითხო; ვინც კი შეხებია შენს მხატვრულ შემოქმედებას, საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ შენს მწერლურ სტილზე, ენაზე. მოდი ასე ვიტყვი: მწერალ თამაზ ხმალაძის მხატვრული ენის გასაგებად, შესაფასებლად ორ პროფესიონალს დავიმოწმებ: მწერალ **ჭაბუა ამირეჯიბსა** და ენათმეცნიერ **ბესარიონ ჯორბენაძეს**.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავისი შვიდტომეული გაჩუქა ასეთი მიძღვნით: „თამაზ ხმალაძეს, მშვენიერ მწერალს, ბრწყინვალე მამულიშვილს და ქართული სიტყვიერების ხმალამოღებულ რაინდს“...

ბესარიონ ჯორბენაძის ერთ ფრაზას მოვიხმობ „რომლითაც მან შენი შემოქმედება დააახასიათა: „ბაჯაღლო ოქროდ დაუნჯებული“ „ბზით ნაფიცხი ქართული სიტყვა“.. ეს ციტატებია ვრცელი ნაშრომიდან, რომელიც ორმოციოდე წლის წინათ დაიწერა...

თ. ხ. – „გიორგი, გულწრფელად ვიტყვი: ღირდა ცხოვრება და მწერლური საქმიანობა თუნდაც ამ ორი დიდი პიროვნების (პროფესიონალის) მიერ ამგვარ შეფასებად.

იმ დროს ახალგაზრდა მეთქმოდა და ისეთი გამოჩენილი ენათმეცნიერი, როგორიც იყო ბესარიონ ჯორბენაძე, წერს საგანგებო წერილს და ახალგაზრდა ავტორის სტილური ოსტატობა, დამოკიდებულება ენასთან მაგალითად მოჰყავს სხვათათვის... არაა ეს პატარა საქმე... არსებითი ის არის, რომ ბატონმა ბესიკმა ჩემი შემოქმედების იმ მხარეზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც „ჩემი“ იყო... ხაზგასმით მიმითითა, ეს არის შენი, ამას მიაქციე ყურადღება, ეს განავითარეო... ასე აღვიქვი ეს იმთავითვე; ამან გამბედაობა შემმატა; გამათამამა კიდეც...

გ. გ. – ცნობილი ამბავია: ხანდაზმულ აკაკი წერეთელს „გამზრდელი“ წაუკითხეს. თვალზე ცრემლმომდგარს უთქვამს, ეს რა კარგად დამიწერიაო. ახლახან შენი ერთტომეული გამოვიდა. გამოცემაზე მუშაობისას რომელიმე ნაწარმოების მიმართ ხომ არ გაგჩენია მსგავსი განცდა?

თ. ხ. – რა დაგიმალო და, ხუმრობად ვიღებ ამ „შედარებას“.. ისე, პასუხი მაქვს ამ კითხვაზე: გულწრფელად გეტყვი: მთლიანი ნაწარმოების მიმართ არა, მაგრამ ცალკეული ადგილების, ეპიზოდების კითხვისას კი მიფიქრია ასე...

გ. გ. – ერთხელ შენთან საუბრისას მიხეილ ჯავახიშვილის ეს ჩანაწერი გავიხსენე: „ჩემი ნაწერების გმირები იკრიბებიან და მასამართლებენ“ და გკითხე, მწერალ თამაზ ხმალაძეს თავისი პერსონაჟების მიმართ ხომ არ გასჩენიათ ეს ასეთი ფიქრი? საინტერესო პასუხი მივიღე: „არა. ჩემი პერსონაჟების მიმართ ეს განცდა არ მქონია... მე უფრო სხვა მაფიქრებს: მეშინია იმ გმირებისა, რომლებიც გაჩნდნენ ჩემს ფიქრებში; უნდა დაწერილიყო ნაწარმოები, სადაც ისინი დასახლდებოდნენ და ვერ იშვნენ... მე იმისი მეშინია, ისინი მოვლენ და გამასამართლებენ; მეტყვიან, დასაბადებლები რომ ვიყავით, რატომ არ დაგვბადეო... გასაჩენები რომ ვიყავით, რად გაგვწირეო... რით იყვნენ ჩვენზე უკეთესი ისინი, ვინც გააჩინეო, დაასახლეო...“

ჩვენ ეს საუბარი კარგა ხნის წინათ გვქონდა, რა შეიცვალა ამ მხრივ და რაიმე საიმედოს ხომ არ ეტყვი შენს ფიქრთა სამყაროში დასახლებულ გმირებს, თუ გაიწირნენ სამუდამოდ იმ სამყაროს ბინადრობისათვის?

თ. ხ. – ჩემი ასაკის კაცთან შვილიერებაზე საუბარი (თუნდაც შემოქმედებით შვილიერებაზე), ცოტა არ იყოს, უალაგოდ მგონია. თუმცა რა აღარა ხდება ქვეყანაზე, სანამ კაცი ცოცხალია, იმედი არა კვდება; ეგებ ღმერთმა არ გაწიროს ჩემგან განაწირი პერსონაჟების ნაწილი მაინც და არ მიეცეთ საბაბი იმ სამსჯავროზე მოსვლისა... ისე არც მაგას მივიჩნევდი დიდ სასწაულად...

გ. გ. – დღეისთვის ეს ვიკმაროთ, თამაზ და დავპირდეთ მკითხველს, რომ მომავალ საიუბილეო თარიღსაც ერთად აღვნიშნავთ.

თ. ხ. – თანახმა ვარ, ისე კი, 80-ის შემდეგ ყველა წელი საიუბილეოდ უნდა მივიჩნიოთ.

აგვისტო, 2026.

ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან



დიმიტრი გულია

ბაგრატ შინკუბა

აფხაზეთში, ქართველთა და აფხაზთა გარდა, მრავალი სხვა ერის წარმომადგენლებიც ცხოვრობდნენ. ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, რუსები და სომხები) რაოდენობრივად თითქმის უტოლდებოდნენ აფხაზებს. მათი ჩამოსახლების ისტორია საუკუნენახევარსაც არ ითვლის, უმეტესობა კი სულ ახალი ჩამოსახლებულები არიან.

აფხაზი და ქართველი ხალხების საუბედუროდ 1989 წელს, როდესაც ჯერ კიდევ დაპირისპირება კულმინაციურ წერტილს არ იყო მიღწეული, ვიღაც რუსის ქალი ტელევიზიით ქართველების მისამართით საქვეყნოდ გაჰკიოდა, ვიღაც აფხაზეთი არ მოსწონს, მატარებლის ბილეთი აიღოს და თავის რესპუბლიკაში წავიდესო. არც აფხაზეთში მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებთან და არც კავკასიის მთიელ ხალხთანაც კი, აფხაზებს არასოდეს ჰქონია ისეთი მჭიდრო და ნათესაური კავშირი, როგორც ქართველებთან. შესანიშნავმა პიროვნებამ და შესანიშნავმა აფხაზმა კაცმა ლორიკ მარშანიამ, რომელმაც იმთავითვე გაისიგრძეგანა, თუ რა უბედურებას მოუტანდა ქართველ და აფხაზ ხალხებს ასეთი დაპირისპირება, აღნიშნა:

„აფხაზ ხალხს არასოდეს არ ჰქონია აღნიშნულ ხალხებთან არავითარი საერთო პრინციპული ხასიათი: არც რელიგიაში, არც ტრადიციებში, არც ზნეჩვეულებებში, არც ისტორიულ ერთობაში (თუ არ ჩავთვლით ენობრივ ერთიანობას ადიღეებთან), და მით უმეტეს, არავითარი სისხლით ნათესაობა. მათ შორის იყო ჩვეულებრივი კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობა, მაშინ, როდესაც აფხაზი და ქართველი ხალხები ყველაზე ახლობლები არიან ერთმანეთისათვის ყველა ზემოთაღნიშნული ნიშნის მიხედვით.წარსულის ტრაგიკული ფურცლების მიუხედავად ამ ხალხების ერთიანობას ყველაზე მძიმე დრშიც კი, მყარი საფუძველი ჰქონდა. გამოვლილია ერთობლივი ისტორიული გზა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, გზა, რომელიც აღსავსეა საგმირო საქმეებითა და ძნელგადებით, სიხარულითა და ჭირ-ვარამით. ჩვენი მრავალმხრივი ურთიერთობა შეადუღაბა მრავალი თაობის გარჯამ, ოფლმა და სისხლმა სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. უამრავია შერეული აფხაზურ-ქართული ოჯახები, რომლებისთვისაც დღევანდელი მოვლენები ორმაგი ტრაგედიაა“.

ეს უდავო ჭეშმარიტება შესანიშნავად იციან ქართველებმა და აფხაზებმა, შესანიშნავად იციან თვით აფხაზმა სეპარატისტებმა და მათმა დამქაშებმა, უცხოელმა მეცნიერებმა. ინგლისელი ბ. უნბეგაუნი წერს: „აფხაზური ენა, ჩერქეზულთან და ყაბარდოულთან ერთად, ეკუთვნის სხვა, ჩრდილოკავკასიურ ჯგუფს. მიუხედავად ამისა, გეოგრაფიული, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების აფხაზეთი ყოველთვის ეკუთვნოდა საქართველოს, წარმოადგენდა მის ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციას“.

დიახ, ქართველ, აფხაზ და ოს მეცნიერებს, მსოფლიოში თვალსაჩინო უცხოელ მკვლევარებს წერილობითი საისტორიო წყაროების, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური, ტოპონიმიკური მონაცემების ობიექტური ანალიზის საფუძველზე ისტორიული ჭეშმარიტება კარგა ხანია დადგენილი აქვთ – აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილებია.

აფხაზ და ოს შემოქმედებით ინტელიგენციას, უბრალო მშრომელ ადამიანებს არაფერი ჰქონდათ გასაყოფი ქართველებთან. ისინი თავს საქართველოს შვილებად, ერთიანი ოჯახის წარმომადგენლებად თვლიდნენ. სწორედ ამ სულისკვეთებით არის გაჟღენთილი აფხაზი და ოსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები.

1968 წელს თბილისის სახელმწრიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა აფხაზური და ოსური ლიტერატურის ისტორიის კურსი. უნივერსიტეტის ახალ ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის კოლექტივი შეუდგა სათანადო სახელმძღვანელოების შექმნას. 1978 წელს გამოიცა აფხაზური ლიტერატურის სახელმძღვანელო – ქრესტომათია, რომელშიც შევიდა გამოჩენილი აფხაზი მწერლებისა და პოეტების თვალსაჩინო ნაწარმოებები. ქრესტომათიაში მოთავსებულ ბევრ ნაწარმოებში უდიდესი სითბო და სიყვარულია გამოხატული საქართველოს, ქართველი ხალხის, მისი გამორჩეული შვილების მიმართ. მაგალითად, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის და დიდი კლასიკოსის **დიმიტრი გულიას** (1874-1960) ლექსი **„რუსთაველის ძეგლი სოხუმში“,** ეძღვნება დიდ ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს, რომლის „სიმღერის ნათელი არასდროს დაიღრუბლება!“, აფხაზეთის სახალხო პოეტი ბაგრატ **შინკუბა ლექსში** „რუსთაველის პროსპექტზე“ კი ქართველს მიმართავს: „სად წავალ, როცა ჩემი ფიქრებით შენთან ვარ მხოლოდ, მხოლოდ შენ გხედავ“. ცნობილი აფხაზი პოეტის **ბორის გურგულიას** ლექსი „ედემი ხარ პატარა!..“ აფხაზეთი არის „ფერთა ფრთამრავალ არწივის – საქართველოს ნაწილი!“

საქართველოს მიმართ ასეთივე გრძნობით არის გამჭვალული სხვა აფხაზი პოეტების ნაწარმოებებიც. **ლეონტი ლაშახუა** თავის ლექსს „ქართველ პოეტებს“ ასე ამთავრებს: „ჩავიხატებით ქართველების მზიურ ღიმილში“. **ალექსი ჯონუა** კი საქართველოს დიდი პატრიოტი და მომღერალია: „მე საქართველოს ტრფიალით ვიწვი, ვხარობ თბილისის ასხივოსნებით“, ხოლო სოხუმში ჩასული თბილისელებზე იგი წერს: „ვამბობ, ძმა შედის საკუთარ ბაღში“. პოეტი **გიორგი გუბლია**, რომელმაც დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სწავლის დასრულებისთანავე წერს ლექსს „ნახვამდის უნივერსიტეტო“, სადაც უნივერსიტეტთან განშორების განცდეგია გადმოცემული:

„შენს ფართო ფრთებზე ხუთ წელს ვიზარდე
და განშორება ძალიან მიჭირს,
შენ მიმიყვანე ნათელ მიზნამდე
მე, ზღვისპირელი აფხაზი მიჭი“.

იგი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს პროფესორ-მასწავლებლებს: „თქვენი ნიჭის წინ ახლა მუხლს ვიდრეკ... გაგვხადეთ თქვენი ცოდნის მემკვიდრე“.

ასეთივე ახლობელია საქართველო და ქართველი ხალხი ოსებისთვის. არა ერთი და ორი სიყვარულით გამთბარი სიტყვები მიუძღვნეს მათ საქართველოს. პოეტი ილია კავკაზაგი (კაჩმაზოვი) ქართველი ხალხის დიდი მოამაგეა. ლექსში „საქართველოს საგალობელი“ იგი წერს: „უსაქართველოდ მე მზე არ მათბობს, როგორ ვიმღერო უსაქართველოდ?..“ ძმობისა და ურთიერთერთგულების გამომხატველია ი. კავკაზაგის ლექსი „საქართველოსთან ერთად“, რომელშიდაც პოეტი საოცარი უშუალობით გადმოცემს თავის გულის ნადებს:

„ო, ძვირფასო მეგობარო!
მე ქართველი ძმისას
ლხინში გული გამიხსნია,
ღვინოც მევრი მისვამს.
მასთან ერთად ჭირიც ვნახე,
განა მარტო ლხინი?..
ერთგულებით გადამთვრალვართ,
განა მარტო ღვინით?“

ი. კავკაზაგს მეტად მძიმე, მაგრამ საინტერესო ბიოგრაფია აქვს. იგი ადრე დაობლდა. მის მამას თადეოზს ჯავის რაიონის სოფელ ყევსელთაში მრავალსულიანი ღარიბი ოჯახი დარჩა. გაჭირვების ჟამს მათ ქართველმა მეგობრებმა გაუწიეს დახმარება – 8 წლის ილია აღსაზრდელად ონის რაიონის სოფელ ზუდალში მცხოვრებ ძმადნაფიცვასილ ჯაფარიძის ოჯახში გააბარეს. ჯაფარიძეების ოჯახი პატარა ილიას მშობლიურ ზრუნვას არ აკლებდა, მას საკუთარ შვილებში არ არჩევდნენ. როდესაც ილია წამოიზარდა, უფროსების სურვილით მოხდა ჯაფარიძეების ვაჟის ივანეს ძმადშეფიცვა ილია კავკაზაგთან. ამ დღიდან მოყოლებული ისინი ღვიძლი ძმებივით ცხოვრობდნენ. შემდეგში უკვე ცნობილმა ოსმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ ილია კავკაზაგმა და დამსახურებულმა პედაგოგმა და ჟურნალისტმა ივანე ჯაფარიძემ თბილისში გაგრძელეს ცხოვრება და მეგობრობა.

სიტყვამ მოიტანა და აუცილებლად საჭიროა ითქვას ძმადნაფიცობის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთიელთა ცხოვრებაში. ეს ინსტიტუტი ხელს უწყობდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დაახლოებას, მეგობრობას, ურთიერთპატივისცემის გრძნობის ამაღლებას, ტრადიციებისა და წესჩვეულებების ურთიერთგათავისებას, ურთიერთდახმარების მოთხოვნილების ცხოვრების წესად ქცევას და საბოლოოდ, პატიოსანი, კაცთმოყვარე და სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბებას.

ძმადნაფიცობის ინსტიტუტს, როგორც ჩანს, დიდი წარსული აქვს. ძმადნაფიცობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანის კავკასიის ხალხებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ტაციტუსს აღწერილი აქვს იბერიელებისა და სომხეთის მეფეების ძმადგაფიცვის სცენა. საქართველოში ხელოვნური დანათესავების ეს ფორმა უკანასკნელ წლებამდე შემორჩა ქართველ მთიელებსა და მათ მეზობელ ოსებს, ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის. ძმადნაფიცობა პირადი ძმობის გარდა, მტრების შერიგებას ნიშნავდა, პოლიტიკური კავშირების დამყარებასა და განმტკიცებას გულისხმობდა.

მთიელთა შორის ძმადნაფიცობის ფართოდ გავრცელებას ცხოვრების მძიმე პირობებიც უწყობდა ხელს. სხვადასხვა საჭიროების გამო ადამიანებს მთაში ხშირად უხდებოდათ საკმაოდ სახიფათო გზების გავლა, ღამის გათევაზე ზრუნვა. მთაში ცხოვრება ბევრი ხიფათთან იყო დაკავშირებული და ძმადნაფიცობა საიმედო ძალა იყო ამ სირთულეების დასაძლევად.

საქართველოს მთიანეთში, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც ერთმანეთთან ან მოსაზღვრე ჩრდილო კავკასიელთა შორის, ვისთანაც ხშირი მიმოსვლა უხდებოდა, ახლო მეგობარი არ ჰყოლოდა. განსაკუთრებით ოჯახებით მეგობრობდნენ მთის რაჭისა და ოსეთის მოსახლეობა. მთის რაჭის საოჯახო არქივებში დღემდეა შემონახული ქართველი და ჩრდილოეთკავკასიელ მთიელ მამაკაცთა და ქალთა დაძმობილების ამსახველი ფოტოები და წერილობითი მასალები. მაგალითად, ჭიორელი სერგო რეხვიაშვილის მშობლები და მათი წინაპრები ძმადნაფიცობით იყვნენ დაკავშირებული დიგორელ ოსებთან. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მომავალი თაობა აგრძელებდა ამ ტრადიციებს. ამ მიზნით 1922 წელს წაუყვანიათ ყმაწვილი სერგო ახლო მეგობართან (ოსები ასეთ მეგობარსა და საპატიო სტუმარს ლიმანს ეძახდნენ) ხელოსანთა ამხანაგობას, როგორც შეგირდი. ამხანაგობას მამისონის მთა გადაულახავს და ალგირის გავლით ოსეთის სოფელ ლესქენში მისულან. ხელოსნები ახლო მეგობრის საფარგეგ თეკათის ოჯახს სწვევიან და იქვე დაბინავებულან. ოჯახმა გულთბილად მიიღო ქართველი ლიმანები, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოკეთეების სტუმრობა გახარებიათ. ქართველ ხელოსნებს ლესქენსა და მის ახლომახლო აულებში ფართო სააღმშენებლო სამუშაოები გაუჩაღებიათ.

სერგომ შრომისმოყვარეობითა და ხელმარჯვე ოსტატობით მალე მიიქცია უფროსების ყურადღება. თავისუფალ დროს იგი ხალხთან ახლოს ურთიერთობაში ატარებდა, კარგად შეისწავლა ოსური ენა, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები. ახლომ ეგრობრის ქალიშვილს აშიათას ოჯახში სერგოსთან დაძმობილების სურვილი გამოუთქვამს. უფროსებს ამის უფლება მიუციათ და დიდი წვეულებაც გადაუხდიათ. ამ დღიდან აშიათას ოჯახში სერგოს შინაკაცად თვლიდნენ, ხოლო მთელ აულში, როგორც საკუთარი შვილი, ისე ყოფილა მიღებული. სერგოსა და აშიათას იმდენად ახლო და-ძმური ურთიერთობა ჰქონიათ, რომ შემდეგში, როცა სერგოს ქალიშვილი შეეძინა, ოსი დობილის საპატივცემულოდ, გოგონას აშიათა დაარქვა. სერგოსა და საფარგეგის ოჯახები ჭირისა და ლხინის მოზიარეები იყვნენ.

1942 წლის თებერვალში სერგომ ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა და ფაშისტთა წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. შინ მეუღლე თამარი და ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. გაჭირდა უმამოდ ცხოვრება. რაჭის სოფლებში შიმშილმა დაისადგურა. სწორედ ამ გაჭირვების ჟამს გაიხსენეს ახლო მეგობრები და მარცვლეულით მათი დახმარების იმედი გაუჩნდათ. ახლო მეგობრებთან წამსვლელთა რიგებში სერგოს მეუღლე თამარი და მისი ათი წლის ვაჟი შოთაც აღმოჩნდნენ. ჭიორელები დიგორის აულებს ეწვივნენ და ყველამ თავისი ახლო მეგობარს მიაკითხა. თამარმა გააცნო თავი მათთვის კარგად ცნობილ სერგოს მეუღლედ. გაიხარეს საპატიო სტუმრების ხილვით ქალებმა (მამაკაცები იქაც ფრონტზე იყვნენ წასულები) და დედა-შვილს გულთბილად გაუმასპინძლდნენ. ისინი ორი დღე დარჩნენ სტუმრად და შემდეგ რამდენიც შეეძლოთ ეტარებინათ, იმდენი სიმინდის მარცვლით გაუვსეს გუდები, რომლებიც უსასყიდლოდ უბოძეს. ამის შემდეგ თამარს ახლო მეგობართან გადასვლა კიდევ ორჯერ მოუხდა და ყოველთვის სიმინდის მარცვლით დატვირთული დაბრუნდა შინ და შიმშილისაგან იხსნა ოჯახი.

სერგო ფრონტზე დაიღუპა. მისი შთამომავლები დღესაც დიდი მადლიერებით იგონებენ კეთილი ადამიანების მათზე ზრუნვას.

ანზორ თოთაძე,
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ: „სრ“ №113-114, 115-116

კრემლის სტრატეგიული მარცხი თუ გამარჯვება?

სამხრეთ კავკასია მოსკოვის გარეშე?!

თუ არა დიპლომატიურ დეკლარაციებს, არამედ გავლენის რეალურ განაწილებას შევხედავთ, რუსეთის პოზიცია სამხრეთ კავკასიაში ნამდვილად ემსგავსება სტრატეგიულ კრახს. აზერბაიჯანი დიდი ხანია აღარ არის სივრცე, სადაც მოსკოვს თამაშის წესების განსაგღვრა შეუძლია: მისი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი თურქეთთან პრაქტიკულად მოკავშირეობრივ ხასიათს ატარებს, ხოლო ეკონომიკური გეოგრაფია სულ უფრო მეტად არის ორიენტირებული კასპიის გღვაგზე, ცენტრალურ აზიაგზე, ჩინეთსა და აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანსპორტო მარშრუტებგზე. სომხეთი ასევე რუსეთის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობს: ამცირებს დამოკიდებულებას რუსეთის უსაფრთხოების მექანიგმებგზე, აფართოებს ურთიერთობებს აშშ-სა და ევროკავშირთან, აღრმავებს სამხედრო თანამშრომლობას საფრანგეთთან და იმავდროულად ცდილობს ჩაეწეროს კომუნიკაციების ახალ რეგიონულ სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბაქოს მოსკოვი უკვე ვეღარ აკონტროლებს, ხოლო ერევანს თანდათან ეკარგება ამის საჭიროება.

სახელმწიფოსთვის, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტი წლის წინ სამხრეთ კავკასიას თავისი ექსკლუზიური გავლენის ზონად მიიჩნევდა, ეს არა უგრალოდ პოზიციების დასუსტება, არამედ უწინდელი რეგიონული არქიტექტურის დემონტაჟია. მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს მთავარი ქართული პარადოქსი. კრემლი, რომელმაც დაკარგა აზერგაიჯანისთვის პიროგეგის კარნახის შესაძლეგლოგა და სწრაფად კარგავს უწინდელ გერკეტებს სომხეთში აგრძელეგს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე ჩაგღაუჯეგას, როგორც საკუთარი ძლიერების დამამტკიცეგელ უკანასკნელ საგუთზე.

ყალიბდება თითქმის კარიკატურული კონსტრუქცია: რაც უფრო ნაკლები გავლენა რჩება რუსეთს სამხრეთ კავკასიის საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სახელმწიფოებზე, მით მეტ პოლიტიკურ ღირებულებას ანიჭებს მოსკოვი ორ ტერიტორიას, რომელთა არსებობის დაფინანსება, დაცვა და დიპლომატიური მომსახურება თავადვე უწევს.

აზერბაიჯანი თურქეთსა და ცენტრალურ აზიას ენერგეტიკასა და ლოჯისტიკას სთავაზობს; სომხეთი დასავლეთს სთავაზობს ახალ გეოპოლიტიკურ კონფიგურაციასა და კომუნიკაციებს; საქართველო სთავაზობს შავ ზღვას, შუა დერეფანს, პორტებსა და გამოსვლას ევროპაზე. ხოლო რისი შეთავაზება შეუძლიათ მოსკოვისთვის სოხუმსა და ცხინვალ მეტწილად მხოლოდ იმის შესაძლებლობისა, რომ არ აღიაროს 2008 წელს დაშვებული საკუთარი პოლიტიკის შეცდომა. და აქ საუბარია უკვე არა რაციონალურ იმპერიალიზმზე, არამედ იმპერიული პრესტიჟის მახეზე. მოსკოვისთვის თბილისთან კომპრომისი ტერიტორიულ საკითხზე ნიშნავს იმის აღიარების აუცილებლობას, რომ 2008 წლის გადაწყვეტილებას რუსეთისთვის გრძელვადიანი სტრატეგიული მოგება არ მოუტანია. ამიტომ კრემლი საკუთარი სიმბოლური კაპიტალის მძევალი ხდება: აღიარებაზე უარის თქმა შეუძლებელია პრესტიჟის მოსაზრებების გამო, ხოლო მისგან სერიოზული გეოპოლიტიკური სარგებლის მიღება შეუძლებელია ამ წარმონაქმნების ობიექტური სისუსტის გამო.

სწორედ ამიტომ რუსული პოლიტიკა დროდადრო თავისებურ □რაგმატულ აუტიზმს□წააგავს: მას შესანიშნავად ეხერხება უკვე დაკავებული პოზიციის შენარჩუნება, მაგრამ სულ უფრო უჭირს პასუხის გაცემა შეკითხვაზე: რატომ უნდა შეინარჩუნოს ეს პოზიცია, თუ შენარჩუნების ფასი იმ სახელმწიფოსთან ურთიერთობების ნორმალიზების შეუძლებლობაა, რომელზედაც გადის ყველაზე მნიშვნელოვანი კომუნიკაციები რუსეთს, თურქეთს, სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. რატომ ეგუება მოსკოვი ასეთ შედეგს? იმიტომ, რომ რუსული პოლიტიკური ლოგიკის შიგნით სტრატეგიული უკანხევის აღიარება ხანდახან უფრო საშიშია, ვიდრე წამგებიანი სტრატეგიის გაგრძელება. აფხაზეთი და ცხინვალი დიდი ხანია გადაიქცა არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკურ აქტივებად, არამედ 2008 წლის შესახებ რუსული შიდა ლეგენდის ელემენტებადაც: რუსეთმა მაშინ ვითომ შეაჩერა დასავლეთის გაფართოება, დაიცვა თავისი მოკავშირეები და აჩვენა დიდი სახელმწიფოს სტატუსის დაბრუნება.

თუ ორი ათწლეულის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ამ □გამარჯვების□შედეგი გახდა საქართველოს გაუცხოება, სომხეთის დაკარგვა და აზერბაიჯანის თითქმის სრული დამოუკიდებლობა, **გაჩნდება უსიამოვნო შეკითხვა: კონკრეტულად რა მოიგო მოსკოვმა სამხრეთ კავკასიაში? რამდენიმე სამხედრო ბაზა და ორი სუმსიდირებული ტერიტორია რეგიონის სამ ნამდვილ სახელმწიფოზე პოლიტიკური გავლენის დაკარგვის სანაცვლოდ? ამიტომ კრემლისთვის ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურად უფრო მარტივია არსებული მდგომარეობა სტრატეგიულ სტაბილურობად გამოაცხადოს, ვიდრე საკუთარი პოლიტიკის რევიზია განახორციელოს. სწორედ ამაში მდგომარეობს, ალბათ, არსებული სიტუაციის მთავარი ირონია. რუსეთს შეეძლო ეცადა საქართველოში გავლენის დაბრუნება არა ტანკებითა და სეპარატისტული ტერიტორიების აღიარებით, არამედ დიდი პოლიტიკის სრულიად ტრადიციული ინსტრუმენტებით – ვაჭრობით, ტრანსპორტით, ინვესტიციებით, ტურიზმით, ენერგეტიკითა და ეტაპობრივი პოლიტიკური ნორმალიზაციით.**

სწორედ საქართველო შეიძლებოდა პოტენციურად გამხდარიყო მოსკოვისთვის სამხრეთ კავკასიის ის სახელმწიფო, რომელთანაც შესაძლებელი იქნებოდა პრაგმატული თანაარსებობა ქვეყნის არც რუსეთის სატელიტად და არც ანტირუსულ პლაცდარმად გადაქცევის გარეშე. მაგრამ ამისთვის კრემლს მოუწევდა იმპერიული ამპარტავნობის მსხვერპლად შეწირვა სახელმწიფოებრივი პრაგმატიზმისთვის. ჯერჯერობით კი საპირისპირო ხდება: რუსეთი ინარჩუნებს სოხუმსა და ცხინვალს და ამით თავადვე ზღუდავს თბილისში დაბრუნების შესაძლებლობას. თუ გაქო საბოლოოდ დამკვიდრდება თურქულ-ცენტრალურაზიურ სისტემაში, ხოლო ერევანი გააგრძელებს დასავლურ დრეიფს, შედეგი თითქმის ისტორიული ანეკდოტი აღმოჩნდება: მოსკოვმა მოიგო 2008 წლის ომი ორი ტერიტორიისთვის, მაგრამ ოცი წლის შემდეგ წააგო გრძოლა მთელ სამხრეთ კავკასიისთვის.

დავით ქართველიშვილი

როგორ შეცვლის მეცნიერება დაბერების პროცესს?!

ადამიანი ყოველთვის ოცნებობდა ერთ რამეგე – უფრო დიდხანს ეცხოვრა და ასაკთან ერთად ჯანმრთელობა, ენერგია და ახალგაგრდული იერი შეენარჩუნებინა. დღეს ეს იდეა უკვე მხოლოდ ლეგენდებსა და სამეცნიერო ფანტასტიკაში აღარ გვხვდება.

მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიაში მეცნიერები ცდილობენ გაარკვიონ, რატომ ბერდება ადამიანის ორგანიზმი და შესაძლებელია თუ არა ამ პროცესის შენელება. მთავარი კითხვა კი სულ უფრო საინტერესო ხდება: შეიძლება თუ არა მომავალში ადამიანმა არა უბრალოდ დიდხანს იცოცხლოს, არამედ დიდხანს დარჩეს ჯანმრთელი?

ასაკთან ერთად ჩვენს ორგანიზმში ერთმანეთთან დაკავშირებული მრავალი პროცესი იცვლება. უჯრედები თანდათან კარგავენ ძველებურად მუშაობის უნარს, გროვდება დაზიანებები, იცვლება იმუნური სისტემა, მცირდება ქსოვილების აღდგენის შესაძლებლობა და ორგანიზმს უჭირს დაზიანებული უჯრედების ეფექტურად მოცილება.

მეცნიერები დაბერებას სულ უფრო ხშირად განიხილავენ არა როგორც ერთ დაავადებას, არამედ როგორც ბიოლოგიური პროცესების კომპლექსს, რომელთა ნაწილზე ზემოქმედებაც შესაძლოა შესაძლებელი გახდეს.

დაბერების ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო გენებია. მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გენებსა და უჯრედებში მიმდინარე მოლეკულურ პროცესებს. ერთ-ერთი საინტერესო მიმართულებაა ეპიგენეტიკური ცვლილებების შესწავლა. ჩვენი ასაკის მატებასთან ერთად დნმ-ის მუშაობის რეგულაციაში გარკვეული ცვლილებები გროვდება. მეცნიერები ცდილობენ გაიგონ, შესაძლებელია თუ არა ამ ცვლილებების ნაწილობრივი □გადაპროგრამება□

შეიძლება თუ არა უჯრედისთვის მისი უფრო ახალგაზრდა მდგომარეობის □შეხსენება□? ეს მიმართულება ჯერ კიდევ ექსპერიმენტულია და ადამიანებში უსაფრთხო და ეფექტური მეთოდის შექმნამდე ბევრი კვლევაა საჭირო. დაბერების კვლევაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სფეროა სენესცენტური უჯრედები. ეს უჯრედები აღარ იყოფიან ნორმალურად, მაგრამ ორგანიზმში შეიძლება დიდხანს დარჩნენ და სხვადასხვა სიგნალის გამოყოფით გარემომცველ ქსოვილებზე გავლენა მოახდინონ.

მოჯტაბა ხამენეი:

აშშ-ის კრიმინალური მმართველები და არალეგიტიმური სიონისტური რეჟიმი მთელი ისლამური საზოგადოების მიმართ მტრულად არიან განწყობილნი



გამოცემა „ირანამ“ ირანის სულიერი ლიდერის საჯარო წერილი გაავრცელა. მოჯტაბა ხამენეიმ წერილი წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადების წლისთავთან დაკავშირებით გაავრცელა.

„დღეს მუსლიმებს უაღრესად ეფექტური, გარდამტეხი როლის შესრულება შეუძლიათ. დღეს არის დრო, როდესაც სიმართლის სიცრუეზე და ისლამის ურწმუნოებაზე საბოლოო ტრიუმფის პერსპექტივა რეალობად ქცევას შევრად უფრო მიუახლოვდა, ვიდრე ოდესმე“, – წერს **მუჯტაბა ხამენეი.**

წერილში ირანის სულიერი ლიდერი ასევე ამბობს, რომ ისლამურმა საზოგადოებამ „ურწმუნოების წინააღმდეგ „ყურანის პრინციპები მტკიცედ უნდა შეინარჩუნოს. მისი თქმით, აშშ ისლამური საზოგადოების მტერია.

ცნობისთვის, მოჯტაბა ხამენეი 28 თებერვალს დაწყებული ომის შემდეგ ერთხელ გამოჩნდა. 9 აგვისტოს ირანულმა მედიამ სულიერი ლიდერის, მოჯტაბა ხამენეის ამსახველი ვიდეოკადრები გაავრცელა, სადაც ის რამდენიმე ადამიანთან ერთად იმყოფებოდა.

კანადა არასოდეს დაიხევს უკან მოძალადის წინაშე!

ონტარიოს პრემიერმა დაგ ფორდმა ონტარიოს ტბასთან დიდი აბრა გახსნა, მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ტბისთვის სახელის გადარქმევის გადაწყვეტილება მიიღო და მას „ამერიკის ტბა“ უწოდა.

ფორდის განცხადებით, ტბის სახელი, რომელიც 400 წელზე მეტი ხნისაა, არ შეიცვლება და კანადა მას კვლავ „ონტარიოს ტბად“ მოიხსენიებს.

„ეს ყოველთვის იქნება ონტარიოს ტბა. ახლა და სამუდამოდ. პრეზიდენტ ტრამპს შეუძლია, რაც უნდა, ის უწოდოს, მაგრამ შემიძლია, გითხრათ, რომ მთელი დანარჩენი მსოფლიო მას ყოველთვის ონტარიოს ტბას უწოდებს. არაერთი ზარი მივიღე შტატების გუბერნატორებისგან. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ მას ყოველთვის ონტარიოს ტბას ვუწოდებთ და, რა თქმა უნდა, კანადაც ყოველთვის ონტარიოს ტბას უწოდებს. ასე რომ, ეს არის ჩვენი გზავნილი პრეზიდენტ ტრამპისთვის. ჩვენ გამძლე და ძლიერი კანადელები ვართ და ყოველთვის დავიცავთ ჩვენს სუვერენიტეტს, ყოველთვის და არასოდეს, არასოდეს დავიხევთ უკან მოძალადის წინაშე“, – განაცხადა ფორდმა.

ცნობისთვის, 27 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, ონტარიოს ტბას „ამერიკის ტბა“ დაარქვა. აშშ-სა და კანადას შორის ურთიერთობები მოლო პერიოდში დაიძაბა. გასულ კვირას ორ ქვეყანას შორის სავაჭრო მოლაპარაკებები ჩაიშალა, რაშიც მხარეებმა ერთმანეთი დაადანაშაულეს.

გერმანიის ფინანსთა მინისტრი ტრამპს აკრიტიკებს

გერმანიის ფინანსთა მინისტრმა ლარს კლინგბეილმა აშშ-ის პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს ირანთან უპასუხისმგებლო ომის დასრულებისკენ მოუწოდა.

აღნიშნული განცხადება კლინგბეილმა აშშ-ში ვიზიტამდე გააკეთა, სადაც მომავალ კვირას „დიდი ოცეულის“ სამიტში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება. გერმანიის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვაშინგტონისთვის მისი მთავარი გზავნილი სწორედ ომის შეწყვეტა იქნება. **„ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი, მათ შორის, აშშ-ისთვის „დაასრულეთ ეს ომი“,** – განაცხადა **კლინგბეილმა.**

ტრამპის თავი „ექსტაზის“ აბებზე!!!

ნიდერლანდებში დონალდ ტრამპის გამოსახულებიანი სინთეზური ნარკოტიკული საშუალების, „ექსტაზის“ აბები აღმოაჩინეს, ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტმა „წითელი განგაში“ გამოაცხადა, – ინფორმაციას ამის შესახებ „ბიბისი“ ავრცელებს.

ნიდერლანდების ნარკოდამოკიდებულებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტმა დონალდ ტრამპის გამოსახულებიანი, პოტენციურად სასიკვდილო „ექსტაზის“ აბების შესახებ გაფრთხილება გაავრცელა. უტრეხტში მდებარე ტრიმბოსის ინსტიტუტის ინფორმაციით, აგვისტოში ნარკოტესტირების ცენტრებში რამდენიმე ასეთი აბი ჩააბარეს. ლაბორატორიული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ისინი ქიმიურ ნივთიერება პარამეთოქსიმეთამფეტამინის ძალიან მაღალ კონცენტრაციას შეიცავდა.

„არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ეს აბი“, – ნათქვამია ინსტიტუტის გაფრთხილებაში.

სპეციალისტების განცხადებით, ქიმიურმა ნივთიერება პარამეთოქსიმეთამფეტამინმა, შესაძლოა, სხეულის გადახურება გამოიწვიოს, რაც მძიმე შემთხვევებში ფატალური შედეგით სრულდება.

ინსტიტუტმა აბების ფოტოებიც გაავრცელა. ერთ მხარეს დონალდ ტრამპის სახის გამოსახულება აქვთ, მეორე მხარეს კი დატანილია წარწერები „Trump“ და „NL“. როგორც „ბიბისი“ წერს, დონალდ ტრამპის გამოსახულება „ექსტაზის“ აბების დიზაინისთვის პირველად არ გამოუყენებიათ. 2017 წელს გერმანიის პოლიციამ დაახლოებით 5000 სტაფილოსფერი „ექსტაზის“ აბი ამოიღო, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტის თავის ფორმის იყო.



ხორბლის ფასმა სამწლიან მაქსიმუმს მიაღწია!

ჩიკაგოს სასაქონლო ბირჟაზე ხორბლის ფასებმა სამწლიან მაქსიმუმს მიაღწია და ზრდას განაგრძობს, – ინფორმაციას Bloomberg-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, ფასის ზრდა განპირობებულია იმით, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი ესკალაცია შავი ზღვის რეგიონიდან ხორბლის მიწოდებას კიდევ უფრო გაართულებს.

როგორც Bloomberg-ი იუწყება, კონფლიქტმა პორტები და მარცვლეულის ტერმინალები დააზიანა, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა გადაზიდვები. კრემლთან დაახლოებული წყაროების ცნობით, რუსეთი

ახლა უკრაინაზე თავდასხმების გასაძლიერებლად ემზადება, მათ შორის ინფრასტრუქტურაზე, რადგან დაასკვნა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

ბაზარი ძალიან შეშფოთებულია ლოჯისტიკური შეზღუდვებით, თუ კონფლიქტი ესკალაციას გამოიწვევს, განაცხადა Advantage Grain-ის აღმასრულებელმა დირექტორმა კრის ნიკოლაუმ.

„თუ ჩვენ არ ვიპოვით შავი ზღვის კონფლიქტის გადაწყვეტას და არ გავაუმჯობესებთ გადაზიდვებზე წვდომას, მისი უსაფრთხოების კომპრომისის გარეშე, ფასები გააგრძელებს ზრდას“, – თქვა მან.

უკრაინის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ქვეყანა მიმდინარე სეზონში უკვე განიცდის სოფლის მეურნეობის ექსპორტის ნახევარწლიან შემცირებას. ასევე მოსალოდნელია, რომ რუსული ხორბლის მარაგი აგვისტოში 50%-ზე მეტით შემცირდება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

ჩიკაგოს სავაჭრო ბირჟაზე ხორბლის ფასები 2,6%-ით გაიზარდა და 2023 წლის ივლისის შემდეგ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია. მანამდე ღირებულება 6,4%-ით გაიზარდა, – წერს სააგენტო.

სიცოცხლის გახანგრძლივების ახალი ერა

მეცნიერები იკვლევენ ე.წ. სენოლიტიკურ მიდგომებს – საშუალებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ასეთი უჯრედების შერჩევით მოცილებას. ცხოველებზე ჩატარებულმა კვლევებმა საინტერესო შედეგები აჩვენა, თუმცა ადამიანებში ეს ჯერ კიდევ აქტიური კვლევის სფერია. მთავარი გამოწვევა უსაფრთხოებაა: მეცნიერებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რომელი უჯრედი უნდა მოიშორონ და რომელი – აუცილებლად შეინარჩუნონ.

აქ მეცნიერები განსაკუთრებით ფრთხილობენ. დღეს არ არსებობს დამტკიცებული აბი, რომელიც ადამიანს უბრალოდ „ახალგაზრდობას დაუბრუნებს“ თუმცა მკვლევრები სხვადასხვა ნივთიერებას სწავლობენ, რომლებიც დაბერებასთან დაკავშირებულ ბიოლოგიურ გზებზე მოქმედებენ. მაგალითად, აქტიურად იკვლევენ ისეთ მექანიზმებს, რომლებიც დაკავშირებულია უჯრედულ მეტაბოლიზმთან, ენერგიის გამოყენებასთან, ანთებასთან და უჯრედის დაზიანების კონტროლთან.

ზოგიერთი პრეპარატი და ნივთიერება ცხოველურ მოდელებში სიცოცხლის ხანგრძლივობის ან ჯანმრთელობის მაჩვენებლების გაუმჯობესებას უკავშირდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგივე ეფექტი ადამიანებში დადასტურებულია. კიდევ ერთი უჩვეულო მიმართულებაა სისხლისა და მისი კომპონენტების შესწავლა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ახალგაზრდა და ასაკოვანი ორგანიზმების სისხლის შემადგენლობასა და სიგნალებს შორის განსხვავებები არსებობს. ამიტომ მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, რომელი მოლეკულური სიგნალები უწყობს ხელს ქსოვილების აღდგენას და რომელი იცვლება ასაკთან ერთად.

თუმცა აქაც საჭიროა სიფრთხილე: ინტერნეტში ხშირად გვხვდება დაპირებები „ახალგაზრდობის სისხლის“ შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მსგავსი პროცედურები ადამიანებში დადასტურებული გაახალგაზრდავების მეთოდია.

მეცნიერებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება განსხვავება lifespan-სა და healthspan-ს შორის. Lifespan ნიშნავს, რამდენ ხანს ვცოცხლობთ. Healthspan კი – რამდენ ხანს შეგვიძლია ვიცხოვროთ ჯანმრთელად, აქტიურად და დამოუკიდებლად. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელიც 90 წლისაა, მაგრამ შეუძლია სიარული, მოგზაურობა, მუშაობა, სწავლა და ყოველდღიური ცხოვრების დამოუკიდებლად მართვა. სწორედ ასეთი მომავლის შექმნაა დაბერების მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. AI უკვე აქტიურად გამოიყენება დაბერების კვლევაში. მას შეუძლია უზარმაზარი რაოდენობის გენეტიკური, ბიოლოგიური და სამედიცინო მონაცემების გაანალიზება და ისეთი კავშირების აღმოჩენა, რომელთა პოვნაც ადამიანს გაცილებით მეტ დროს დასჭირდებოდა.

მომავალში AI შეიძლება დაეხმაროს მეცნიერებს ახალი სამიზნეების აღმოჩენაში – მაგალითად, კონკრეტული ცილების, გენების ან უჯრედული პროცესების, რომლებზეც ზემოქმედებამ შესაძლოა ჯანმრთელი დაბერების მხარდაჭერა შეძლოს. თუ შეგვეძლება დაბერების შენელება, სად უნდა გავავლოთ ზღვარი მკურნალობასა და ადამიანის „გაუმჯობესებას“ შორის?

მიუხედავად იმისა, რომ „მარადიული ახალგაზრდობა“ ძალიან მიმზიდველად ჟღერს, თანამედროვე მეცნიერების რეალური მიზანი გაცილებით უფრო პრაქტიკულია.

მკვლევრები ცდილობენ, გავიგოთ რატომ ვბერდებით, რომ მომავალში ასაკთან დაკავშირებული დაავადებები უფრო გვიან განვითარდეს და ადამიანმა სიცოცხლის უფრო დიდი ნაწილი ჯანმრთელად გაატაროს. შესაძლოა, მომავალში 80 წლის ადამიანის ორგანიზმი დღევანდელ 80 წლის ორგანიზმს საერთოდ აღარ ჰგავდეს.

მარადიული ახალგაზრდობა ჯერ კიდევ სამეცნიერო ფანტასტიკაა. მაგრამ უფრო ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრება – უკვე რეალური სამეცნიერო მიზანია.

და შესაძლოა ყველაზე დიდი რევოლუცია სწორედ ის იყოს, რომ მეცნიერებამ ადამიანს არა „უკვდავება“ არამედ ჯანმრთელი წლების დამატება შეძლოს.

პრაიმტაიმი

„დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებული გამოკითხვებით, პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მეტად პოპულარულები არიან ის პარტიები, რომლებიც რუსეთის მიმართ ლოიალურად არიან განწყობილნი, ან მხარს აბჯარად კრემლს უჭერენ“ – ნათქვამია ბრიტანულ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„ევროპაში პუტინის „სასარგებლო იდიოტები“ საზოგადოებრივ გამოკითხვებში ლიდერობენ“** (ავტორი – **დენიელ ჯონსონი**). **„გერმანიაში, საფრანგეთში და ავსტრიაში პრორუსულმა პოლიტიკოსებმა შეიძლება ხელისუფლება არამარტო რეგიონებში, არამედ საერთოევროვნულ დონეზეც მოიპოვონ. მათ განზრახული აქვთ რუსეთს სანქციები მოუხსნან და კრემლთან კავშირები აღადგინონ“** – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

გთავაზობთ სტატიას შემოკლებით:

The Daily Telegraph

ევროპაში პუტინის „სასარგებლო იდიოტები“ ლიდერობენ!..

ევროპის ქვეყნების პოპულისტურ პარტიებს, განსაკუთრებით გერმანიაში, საფრანგეთში და ავსტრიაში, ძველებურად ერთი გნელი მხარე აქვთ: ისინი საეჭვოდ გამოხატავენ სიმპათიებს კრემლის მიმართ. ცხადია, ამას თავისი მიზეზი აქვს: არსებობს „ჯატარა საიდუმლო“ – რუსოფილია (რუსებისადმი სიყვარული). უკრაინაში მიმდინარე სისხლისმღვრელი ომის მიუხედავად, რომელსაც ვლადიმერ პუტინის ჯარები ანარმოებენ, ევროპის უკიდურესად მემარჯვენე ნაციონალისტურ პარტიებს, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, განზრახული აქვთ, რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებული სანქციები გააუქმონ და მოსკოვთან ძველ ურთიერთობებს დაუბრუნდნენ.

გერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრიის გარდა, არიან ქვეყნები, სადაც კრემლის გავლენა მაინცდამაინც მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ იქაც შეიძლება პრორუსულმა პოლიტიკურმა ძალებმა საკმაო წარმატებას მიაღწიონ და სასწორი უკრაინის საწინააღმდეგოდ გადახარონ.

მომავალ თვეში რუსეთთან კავშირების აღდგენა ცენტრალურ ადგილს დაიკავებს, როცა გერმანელები 6 სექტემბერს ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საქსონია-ანჰალტის მხარეში საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად მივლენ.

ულტრამემარჯვენე „ალტერნატივა გერმანიისათვის“ (AFD) რეგიონულ არჩევნებში ხმების 40%-ის მისაღებად ემზადება, რითაც დღემდე დომინირებად ქრისტიან-დემოკრატებს (CDU) დაამარცხებს და ფედერალურ კანცლერს **ფრიდრიხ მერცს** საერთო ეროვნულ დონეზე უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე დააყენებს.

AFD-ის საარჩევნო პროგრამის ძირითად ნაწილად ითვლება რუსული ენის სწავლებისა და მოსწავლე-სტუდენტების გაცვლის პროგრამების აღდგენა გერმანიის სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. რუსული ენის გაკვეთილებისა და ლექციების ჩატარება სავალდებულო იყო ცივი ომის დროს, როცა აღმოსავლეთ გერმანიაში (ანუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში) საბჭოთა ჯარები იდგნენ და კომუნისტური რეჟიმი იყო გაბატონებული. იქაური მოსახლეობის უფროს თაობაში Ostalgie („ოსტალგია აღმოსავლეთზე“) და მოგონებები იაფფასიან რუსულ გაზზე ჯერ კიდევ ცოცხლობს. ისინი თვლიან, რომ თავს უფრო მშვიდად გრძნობენ რუსეთთან ერთად, ვიდრე დასავლეთთან. ასეთი განწყობა განსაკუთრებით ახლა ძლიერდება, როცა გერმანიაში ეკონომიკური კრიზისის ნიშნები ჩანს.

პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ თავის ძირითად საარჩევნო პლატფორმასთან – „რემიგრაციასთან“ (მიგრანტების, ლტოლვილებისა და მათი შთამომავლების რეპატრიაცია) ერთად, შეცდომად თვლის რუსეთთან სავაჭრო და კულტურული კავშირების გაწყვეტას უკრაინაში შეჭრის შემდეგ. პარტიის მტკიცებით, „ქვეყნის ამუამინდელი ხელისუფლების ანტირუსული პოლიტიკა – უკრაინისათვის პოლიტიკური, ფინანსურ-ეკონომიკური და სამხედრო დახმარების გაწევა – გერმანიის ეროვნულ ინტერესებს არ შეესაბამება“.

მემარჯვენე პოპულისტების ესოდენ პრორუსული კურსი პოლიტიკურ სპექტრში პოზიტიურ გამოხმაურებას იწვევს: პარტია Die Linke („შემარცხენეები“, ყოფილი კომუნისტების მემკვიდრეები) და „სარა ვაგენკნეხტის მემარცხენე პოპულისტური პარტია“ (BSW) ასევე დაინტერესებულნი არიან მოსკოვთან ურთიერთობით.

ერთობლიობაში უკიდურეს მემარჯვენეებს და მემარცხენეებს ამომრჩეველთა ხმების 17%-ის მოპოვება შეუძლიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქსონია-ანჰალტის მხარეში მოქმედი პრორუსული პარტიები მოსახლეობის ნახევარზე მეტის ინტერესებს წარმოადგენენ. ეს ტენდენცია მთელ ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში (ყოფილ გდრ-ში) შეიმჩნევა.

ეს კიდევ არაფერი: პოპულისტ რუსოფილებს მთელი ფედერაციული რესპუბლიკის მასშტაბითაც უპირატესობა აქვთ. იმ დროს, როცა აღმოსავლეთში AFD („ალტერნატივა“) CDU-ს („ქრისტიან-დემოკრატების“) საშუალოდ 20%-ით წინ უსწრებს, დასავლეთ რეგიონებში - საშუალოდ 4%-ით.

დღეს რომ მთლიანად გერმანიაში არჩევნები ჩატარდეს, პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“ 630-ადგილიან გუნდესტაგში 200-ზე მეტ ადგილს მიიღებდა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში უდიდესი პარტია იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას დეპუტატთა უმრავლესობა არ ეყოლებოდა, პარლამენტში მესამე ადგილის მოპოვება დეპუტატთა რაოდენობის მიხედვით, გერმანული ნაციონალიზმის უთუოდ დიდი გარღვევა იქნებოდა 1945 წლის შემდეგ.

ვლადიმერ პუტინი, რომელიც საბჭოთა „კაგებეს“ ოფიცრად მუშაობდა საქსონიაში (გდრ-ის არსებობის დროს, როცა ბერლინის კედელი დაეცა), პარტია AFD-ის სავარაუდო წარმატება ტკბილი სიზმრის ახდენის ტოლფასი იქნება „თავის ძველ სამშობლოში“.

ცხადია, გერმანიაში ფედერალურ არჩევნებამდე – 2029 წლამდე – შეიძლება ბევრი რამ მოხდეს, მაგრამ საფრანგეთში არჩევნებამდე მცირე დროა დარჩენილი: იქ მომავალი წლის აპრილში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებაა დაგეგმილი. საფრანგეთშიც ყველა ნიშანი მოწმობს, რომ პოპულისტები წარმატებას მიაღწევენ, ანუ არ არის გამორიცხული პარტია „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერის მარინ ლე პენის წარმატება.

ცხადია, ეს ყველაფერი ვლადიმერ პუტინისათვის კარგი სიმპტომებია. როცა 2022 წელს **მარინ ლეპენი ემანუელ მაკრონს** არჩევნებში დაუპირისპირდა, მეტოქემ იგი დაადანაშაულა – „თქვენ ვლადიმერ პუტინის ჯიმის პოლიტიკოსი ხართ“. „თქვენ იყავით ერთ-ერთი პირველი ევროპელი პოლიტიკური ლიდერი, რომელმაც რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია აღიარა“. – დაამუნათა მაკრონმა მადამ ლეპენი ტელევიზიებში და მაყურებლების წინაშე „შეარცხვინა“. „თქვენმა პარტიამ 2017 წლის საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით მსხვილი კრედიტი აიღო იმ ბანკისაგან, რომელიც კრემლთან ახლოს დგას“.

2022 წლიდან **მადამ ლეპენს** არაფერი არ უთქვამს და არაფერი არ გაუკეთებია ისეთი, რომელიც მისი პრორუსული შეხედულებებიდან უკანდახევას და რუსოფილობის უარყოფას ნიშნავს. პირიქით, „ეროვნული გაერთიანების“ საპრეზიდენტო კანდიდატის პლატფორმა არის პროპაგანდა იმისა, რომ მოსკოვთან პრივილეგირებული პარტნიორობა საფრანგეთისთვის მომგებიანია. მარინ ლეპენის აზრით, ანტირუსული სანქციები უნდა გაუქმდეს და ევროკავშირის (ნატოს) ქვეყნებში რუსეთის „დემონიზაციის“ პროცესი უნდა შეჩერდეს.

საფრანგეთის მომავალი პრეზიდენტი მარინ ლეპენი, დიდი ალბათობით, შეუერთდება სხვა პრორუსულად განწყობილ პოპულისტებს, მათში ყველაზე გავლენიანის – დონალდ ტრამპის ჩათვლით, „საერთო საქმეში ნვლილის შესატანად“. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ღრმად აქვს გადგმული ფესვები ანტიამერიკანიზმს, მადამ ლეპენი, ალბათ, შეეცდება საერთო ენა გამონახოს აშშ-ის პრეზიდენტთან და მხარს დაუჭერს რუსეთ-უკრაინის ომის შეწყვეტას, მოსკოვისათვის მომგებიანი პირობებით.

ვოლოდიმირ ზელენსკისთვის ერთადერთი ნუგეში ისაა, რომ ლეპენის სავარაუდო პრეზიდენტობის დროს საფრანგეთის მხარდაჭერის დაკარგვა ომის მსვლელობაში ბევრს ვერაფერს შეცვლის: ემანუელ მაკრონი უკრაინას ბევრად მცირე დახმარებას უწევს, ვიდრე გერმანია და დიდი ბრიტანეთი.

მესამე დასავლეთევროპული ქვეყანა, რომელშიც რუსოფილური პოპულისტები დიდი გავლენით სარგებლობენ, ავსტრია გახლავთ, სადაც ულტრამემარჯვენე **„თავისუფლების პარტიას“** (FPO), **ჰერბერტ კიკლის** ლიდერობით, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე დიდი საპარლამენტო ბლოკი აქვს დაკავებული. ამის მიუხედავად, მასთან კოალიციაში შესვლას სხვა პარტიები უარს აცხადებენ – ალბათ იმიტომ, რომ **„თავისუფლების პარტიას“** კრემლთან ყველაზე ახლო კავშირები აქვს. ბევრს ახსოვს ავსტრიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **კარინ კნაისლი,** „თავისუფლების პარტიის“ წევრი, რომელიც რუსეთისადმი სიყვარულში ისე ღრმად შევიდა, რომ პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი** თავის ქორწილში მიიწვია 2018 წელს. მოგვიანებით კი ფრაუ კარინი ავსტრიიდან რუსეთში წავიდა და სანქტ-პეტერბურგში დასახლდა.

მას შემდეგ, რაც პარტიამ 10 წლის წინათ რუსეთთან „შეგობრობის ხელშეკრულება“ გააფორმა, ის მუდმივად სკანდალებშია გახვეული – კრემლის ოლიგარქებთან ფინანსური კავშირების ბრალდებების გამო, მაგრამ FPO-ს ამომრჩევლებისათვის ამას მნიშვნელობა არ აქვს: რუსოფილია მათი კომფორტის ზონას წარმოადგენს.

როგორ არის საქმე ბრიტანეთის „პატრიოტულ პარტიებთან“ მიმართებებით? 2014 წელს ნაიჯელ ფარაჯმა („გაერთიანებული სამეფოს რეფორმის პარტიის“ – Reform UK – ლიდერმა), როგორც ცნობილია, განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი „მსოფლიოს ლიდერია“ და რომ იგი „აღფრთოვანებულია რუსეთის პრეზიდენტის ოპერატორობის ნიჭით“. გარდა ამისა, მან ნატოს პოლიტიკა რუსეთთან მიმართებით „დათვის ჯოხით შემინებას“ შეადარა.

ბოლო დროს ნაიჯელ ფარაჯმა თავისი პრორუსული რიტორიკა შესამჩნევად შეარბილა. გასათვალისწინებელია, ალბათ, ის მომენტი, რომ მის თანამებრძოლს, პარტიის რეგიონულ ლიდერს უილსში ნათან ჰილს 10 წლით პატიმრობა მიესაჯა – იგი ქრთამს იღებდა პრორუსული განცხადებების გასაკეთებლად.

მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მტკიცებულება არ არსებობს **ნაიჯელ ფარაჯსა** და **ნათან ჰილის** მექრთამეობას შორის, ამ საქმემ მისი თანამოაზრეების პრორუსული სიმპათიები გამოაშკარავა. **გავიხსენოთ, რომ „რეფორმისტებმა“ ესექსში, ნორფოლკსა და საფოლკში, სადაც ისინი ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში უმრავლესობას ფლობენ, უკრაინის დროშები მოხსნეს, რომლებიც 2022 წლის შემდეგ იყო გამოკიდული.**

შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ თუ ნაიჯელ ფარაჯი ოდესმე დაუნიგბ-სტიტზე „დასახლდება“ (ანუ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდება), ბრიტანეთი აღარ იქნება დასავლეთის უპირველესი ქვეყანა, რომელიც უკრაინას მხარს ყველაზე მეტად უჭერს, როგორც ეს ადრე, ბორის ჯონსონის პრემიერობის დროს ხდებოდა. რეფორმისტების მთავრობას შეიძლებოდა კრემლისგან სიმპათიები დაემახსოვრებინა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მეფე, რომელიც უკრაინის მტკიცე მხარდამჭერია, უფრო ტახტს დათმობს, ვიდრე ვლადიმერ პუტინის (ბრიტანეთში) ვიზიტს შეურიგდება.



თარგმნა

სიმონ კილაძემ.

პოლკოვნიკი ლოურენს უილკერსონი, სახელმწიფო მდივნის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი, თეთრ სახლში გატარებულ პერიოდს იხსენებს. იგი ამტკიცებს, რომ შეერთებულმა შტატებმა ათწლეულების განმავლობაში მიზანმიმართულად ჩამოაყალიბა ევროპის პოლიტიკური გარემო, რათა ევროპელი ლიდერები მზადყოფნაში ყოფილიყვნენ ვაშინგტონის სტრატეგიული პრიორიტეტების აღსასრულებლად (CITE: ლოურენს უილკერსონი: როგორ შექმნა აშშ-მ ევროპის პოლიტიკური კლასი □ და მისი ლტოლვა ომის მიმართ). იგი აღწერს მუდმივ ძალისხმევას, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკული საადგვერვო სააგენტოები, მოკავშირეთა საადგვერვო სამსახურები და ის ორგანიზაციები, რომლებიც ამერიკული საგარეო პოლიტიკის ფართო ქოლგის ქვეშ მოქმედებდნენ.

გარედან მართული ევროპული ელიტა

ამერიკული საადგვერვო ქსელები და ევროპის ლტოლვა ომისკენ!

უილკერსონის ხედვით, მიზანი მხოლოდ ცალკეულ საკითხებში ევროპული მთავრობების დარწმუნება არ ყოფილა. ეს იყო ისეთი პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბების მცდელობა, რომელიც საიმედოდ დაუჭერდა მხარს შეერთებულ შტატებსა და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს. იგი ამას აღწერს, როგორც გრძელვადიან პროექტს, რომელიც ღრმად არის ინტეგრირებული ევროპულ პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებში.

როგორც იგი აღნიშნავს, ამერიკელები პოლიტიკოსებზე გავლენას არა მხოლოდ ტრადიციული დიპლომატიის საშუალებით ახდენდნენ, არამედ **□ყიდულობდნენ გაზეთების რედაქტორებს, პროფკავშირების ხელმძღვანელებს, პარლამენტარებსა და ა.შ.□** იგი ამტკიცებს, რომ გავლენის ამ ქსელებმა ხელი შეუწყო იმგვარი პოლიტიკური გარემოს შექმნას, სადაც ვაშინგტონისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა ევროპულ ინსტიტუტებში უპრობლემოდ დაინერგებოდა.

უილკერსონს ეს არგუმენტი ცალკეული პოლიტიკოსების ფარგლებს მიღმაც გადაატანს: **□მათ იყიდეს მთელი ქვეყნები თავიანთი პოლიტიკური აპარატებითურთ□** მისი თქმით, ამერიკული გავლენა უშუალოდ პოლიტიკური სისტემების დონეზე მოქმედებდა და არა მხოლოდ ინდივიდუალურ დონეზე.

სტოლტენბერგი, როგორც მაგალითი

უილკერსონს იენს სტოლტენბერგი ამ პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითად მოჰყავს. იგი ამტკიცებს, რომ სტოლტენბერგი ტრანსატლანტიკურ პოლიტიკურ სისტემაში აღიზარდა და საბოლოოდ NATO-ს გენერალური მდივანიც გახდა, რამაც მას ალიანსის პოლიტიკური მიმართულების განსაზღვრაში ცენტრალური როლი მიანიჭა.

უილკერსონისთვის სტოლტენბერგის აღზევება აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ვაშინგტონს ამოიცნოს ამერიკულ სტრატეგიულ მიზნებთან თავსებადი ევროპელი პოლიტიკოსები და შემდგომში უზრუნველყოს აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუტებში მათი მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა. იგი ამ პროცესს განსაკუთრებით პირდაპირი და მკვახე მანერით აღწერს: **□მათ ალიანსის ორი გენერალური მდივანი იყიდეს: იენს სტოლტენბერგი და მარკ რუტე□** (CITE: ლოურენს უილკერსონი: როგორ შექმნა აშშ-მ ევროპის პოლიტიკური კლასი □ და მისი ლტოლვა ომის მიმართ).

უილკერსონის არგუმენტში სტოლტენბერგის ფიგურის მნიშვნელობა მხოლოდ მის ინდივიდუალურ პოლიტიკურ შეხედულებებში არ მდგომარეობს. მისი **NATO**-ს გენერალურ მდივნად დანიშვნა წარმოადგენდა უფრო ფართო პროცესის კულმინაციას, რომლის მეშვეობითაც ვაშინგტონმა აღზარდა ევროპელი ლიდერები, რომლებზე დაყრდნობაც ალიანსის სტრატეგიული ორიენტაციის შესანარჩუნებლად ყოველთვის შეიძლებოდა.

მარკ რუტე და სისტემის გაგრძელება

უილკერსონი მარკ რუტესაც იმავე ჩარჩოში ათავსებს. რუტეს ალიანსის გენერალურ მდივნად აღზევება, მისი აზრით, უნდა იქნას გაგებული, როგორც ამერიკის მიერ შექმნილი პოლიტიკური კლასის უწყვეტობის ნაწილი.

უილკერსონის შეფასებით, მთავარი მოთხოვნა პოლიტიკური სანდოობა იყო: **ევროპელ ლიდერებს, რომლებსაც ტრანსატლანტიკურ სისტემაში დაწინაურება სურდათ, ვაშინგტონის ინტერესებისთვის უნდა მიენიჭებინათ პრიორიტეტი და ეჩვენებინათ, რომ ამერიკელებისთვის საიმედო პარტნიორები იყვნენ.**

ამიტომ უილკერსონისთვის რუტე წარმოადგენს კიდევ ერთ მაგალითს იმისა, თუ როგორ არის ევროპული პოლიტიკური ელიტა დაკავშირებული უფრო ფართო ამერიკულ სტრატეგიულ ისტებლიშმენტთან. ალიანსის გენერალურ მდივნად მის არჩევას ალიანსის მიმართულება არ შეუცვლია □ პირიქით, განამტკიცა იგი.

გარედან ჩამოყალიბებული პოლიტიკური აპარატი

უილკერსონის უფრო ფართო არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკული გავლენა ევროპაში იმდენად გაძლიერდა, რომ მან ხელი შეუწყო იმის დადგენას, თუ ვის შეეძლო წარმატების მიღწევა ევროპულ პოლიტიკურ ინსტიტუტებში.

მის მიერ აღწერილი პროცესი მოიცავდა გაზეთებს, შრომით ორგანიზაციებს, პარლამენტარებსა და ეროვნულ პოლიტიკურ სტრუქტურებს. ევროპული საზოგადოების ამ განსხვავებული სეგმენტების კულტივირებით ვაშინგტონს შეეძლო იმ პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც მისთვის სასურველი ლიდერები გამოჩნდებოდნენ და იმოქმედებდნენ.

უილკერსონის აზრით, შედეგად მივიღეთ ევროპული პოლიტიკური კლასი, რომლის კარიერაც ღრმად არის გადაჯაჭვული ამერიკულ ძალაუფლებასთან. სწორედ ამიტომ ათავსებს იგი სტოლტენბერგსა და რუტეს რედაქტორების, პროფკავშირების ლიდერებისა და პარლამენტარების იმ უფრო ფართო ქსელში, რომლებიც, მისი თქმით, ხელოვნურად არიან ჩამოყალიბებულნი.

მისი არგუმენტი არსებითად ცდება NATO-ს ფარგლებს. იგი ამტკიცებს, რომ **შეერთებულმა შტატებმა არა მხოლოდ ევროპული მთავრობების დარწმუნება შეძლო, არამედ მან ხელი შეუწყო იმ პოლიტიკური აპარატის შექმნას, რომლის მეშვეობითაც ევროპული მთავრობები ამერიკის მიერ იმართებოდნენ.** სტოლტენბერგისა და რუტეს ალიანსის ლიდერებად დანიშვნა კი ამ ხანგრძლივი პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ გამოვლინებად არის წარმოდგენილი.

კაპარის კონტურები

საგაისო კატარული მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ჯგუფური ეტაპი პარალელური კვარტეტის პირველი რაუნდის გამარჯვებულ მონტენეგროსთან ქორქია – ჯორჯიკიას სახელობის ახალ სპორტის სასახლეში გამართულ პრინციპულ ბრძოლაში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებით გავხსენით (ბურთის მხოლოდ 3 დაკარგვა და 23 მოხსნა!).

საქართველო – მონტენეგრო 101:74
(27:17, 21:25, 29:25, 24:7).

საქართველო: შენგელია – 24, ბითაძე – 23, მამუკელაშვილი – 17, რიდი – 12, ანდრონიკაშვილი – 9, სანაძე – 6, მერკვილაძე – 6, ტურძილაძე – 2, ოჩხიკიძე – 2 ქულა.

მთავარი მწვრთნელი – ალექსანდრ ჯიკიჩი.

მონტენეგრო (ყველაზე შედეგიანები): ფერელი – 12, დრობნიაკი – 11, კლიაიჩი – 11 ქულა.

მთავარი მწვრთნელი – ზვეზდან მიტროვიჩი.

მატჩის წინ:

ალექსანდრ ჯიკიჩი: გეგმას კარგად მივყვებით. უპირველესად, რაც მნიშვნელოვანია, ბურჯანაძის გარდა ყველა ჯანმრთელადაა. მეორე – ნაყოფიერად ვშრომობთ და მესამე – გუნდში ძალზე კარგი ატმოსფეროა. ბოლო ვარჯიშებზე მობილიზებულები და აგრესიულები ვიყავით, რაც ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

ამავე დროს, ჩვენ მეტოქეს ზოგი სათანადოდ ვერ აფასებს, მაგრამ ვიცით, რომ მონტენეგროს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს ნბა-ს ყოფილი და ევროლიგის მოქმედი მოთამაშეებით, აგრეთვე ადრიატიკის ლიგისა და ევროთასის პრესტიჟული ტურნირების წარმომადგენლებით.

მოკლედ, რთული შეხვედრა გველის.

მატჩი:

მართალი აღმოჩნდა ჯვაროსანთა თავკაცი – ბოლო პერიოდამდე მოვლენები აიწონა-დაიწონას შესაბამისად ვითარდებოდა და ერთ მომენტში სტუმრებს დაწინაურების შანსიც მიეცათ, რომელიც, საბედნიეროდ, ვერ გამოიყენეს.

კრიტიკულ ვითარებაში ბალკანელებთან აქამდე გამართული მძაფრი ბრძოლები გაგვახსენდა, როცა ჯერ გასვლაზე **სანიკიძის** მიერ თითქმის მოედნის ცენტრიდან ჩაგდებული სამქულიანით ევრობასკეტისკენ გავიკვლიეთ გზა, ხოლო შემდეგ ისტორიული ფორუმის მასპინძლის რანგში ნაკრებიდან ახლახან წასულ **ვუჩევიჩსა** და კამპანიას ამავე დარბაზში რევანშის აღების საშუალება მივეცით.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას დასკვნითი მეოთხედის სტატისტიკას, როცა მხოლოდ 7 ქულა მივიღეთ. დიახ, ჩვენი აქილევსის ქუსლი – დაცვა იმდენად პროფესიულად ვითამაშეთ, რომ გადამწყვეტ მონაკვეთს ინტრიგა დავუკარგეთ.

ბუნებრივია, მადლობა მთელ გუნდს, მაგრამ მაინც – დიდი ფუფუნებაა, ასეთი სასტარტო ხუთეული რომ გვყავს!

ესპანეთი – პორტუგალია 89:95, უკრაინა – საბერძნეთი 82:76 (რიგაში).

სატურნირო მდგომარეობა: ესპანეთი, უკრაინა – 5, საქართველო, მონტენეგრო, პორტუგალია – 4, საბერძნეთი – 3 მოგება.

დღეს: პორტუგალია – საქართველო.

კარგი ქართული ამბები

პოლონეთის ქალაქ პოზნანში მიმდინარე პანიესპრინტისა და პარაპანიეს მსოფლიოს ჩემპიონატზე, საქართველოს ნაკრების წევრი, სერჰი ემელიანოვი უმაღლესი ტიტულის მფლობელი გახდა.

ემელიანოვმა პარაკაიაკით ფინალურ გაცურვაში 200-მეტრიანი დისტანცია 39.82 წამში დაფარა და მსოფლიოს ჩემპიონობა ზედიზედ მეორედ იზეიმა.

შეჯიბრებაში სხვადასხვა ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

* * *

15 და 17 წლამდე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელსაც პრიშტინა (კოსოვო) მასპინძლობდა, ძალზე წარმატებული გამოდგა საქართველოს ასაკობრივი ნაკრებებისთვის. მთლიანობაში მოპოვებულია 35 მედალი. გარდა ამისა, 15-წლამდელებმა (5 ოქრო, 6 ვერცხლი, 3 ბრინჯაო) ქულებით გუნდური პირველი, ხოლო 17-წლამდელებმა (9 ოქრო, 7 ვერცხლი, 2 ბრინჯაო) მეორე ადგილი დაიკავეს.

15-წლამდელებში ატაცის, აკვრისა და ორჭიდის ჯამში ოქროს მედლები მოიპოვა ლევან ძიმცეიშვილმა (65 კგ). ატაცში ვერცხლის, ხოლო აკვრასა და ორჭიდში ოქროს მედლები დაიმსახურა ნუგზარ მანიამ (60 კგ). სამი ვერცხლის მედალია ლუკასი თოდუას (75 კგ) ანგარიშზე; აკვრასა და ორჭიდში ვერცხლის მედლები ერგო ნიკოლოზ ქორიძეს (+85 კგ), ხოლო ირაკლი ყიფიანმა (51 კგ) 3 ბრინჯაოს მედლით დაასრულა ევროპის ჩემპიონატი.

17-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი გახდა გიორგი ქინქლაძე (65 კგ), რომელმაც ატაცში, აკვრასა და ორჭიდში უმაღლესი სინჯის მედლები დაისაკუთრა. ამავე წონაში კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ქინქლაძის თანაგუნდელი შოთა კაკაბაძე, რომელსაც სამივე შემთხვევაში ვერცხლის მედლები ერგო.

ატაცში ვერცხლის, ხოლო აკვრასა და ორჭიდში ოქროს მედლები მოიპოვა დავით კილაძემ (70 კგ). ატაცში მესამე შედეგი ჰქონდა ლადო ძიმცეიშვილს (85 კგ), აკვრასა და ორჭიდში კი – ევროპის რეკორდებითა და ოქროს მედლებით – საუკეთესო იყო.

ასევე ორი მედალოსანი გვყავს +95 კილოგრამ წონით კატეგორიაში, სადაც ნიკოლოზ კურტანიძემ ატაცში ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, აკვრაში ევროპის რეკორდით ოქროს მედალი ერგო და ჩემპიონობა ორჭიდშიც იზეიმა. მომავალ ჩემპიონს ამავე წონაში მეტოქეობას უწევდა ხვიჩა კიწმარიძე, რომელმაც ატაცში, აკვრასა და ორჭიდში ვერცხლის მედლები დაისაკუთრა.

მედლები მოიპოვეს გოგონათა ნაკრების წარმომადგენლებმაც. მათ შორის ნინი კომლაძემ (+77 კგ) აკვრაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ორჭიდში კი ბრინჯაო ერგო. ერთი ბრინჯაოა (აკვრაში) სალომე კუჭავას (53 კგ) ანგარიშზე.

* * *

მსოფლიო რაგბმა სამხრეთ აფრიკისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებს შორის □რაგბის უდიდესი მეტოქეობის□სერიის მეორე და მესამე ტესტ-მატჩებისთვის ოფიციალურ პირთა დანიშვნებში ცვლილებები შეიტანა. ავადმყოფობის გამო, კეიპტაუნში გასამართ მეორე ტესტ-მატჩში **ნიკა ამაშუკელს** ავსტრალიელი **ანგუს გარდნერი** შეცვლის, ხოლო ქართველი მსაჯი 5 სექტემბერს იოჰანესბურგში დაგეგმილ მესამე ტესტს განსჯის.

მესამე ტესტ-მატჩის სხვა ოფიციალურ პირებად დაინიშნენ ინგლისელი კრისტოფ რიდლი, ფრანგი ერიკ გაუზინი და ავსტრალიელი ბრეტ კრონანი. გაუზინი ვიდეორეფერის (TMO), ხოლო კრონანი თამაშის უხეში დარღვევების განხილვის ოფიციალური პირის (FPRO) ფუნქციას შეასრულებს.

* * *

ეთერ ლიპარტელიანი ლოზანის ისტორიაში პირველი გრანდ სლემის გამარჯვებულია. ქართველმა ძიუდოისტმა 57 კგ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო.

პირველსავე საშეჯიბრო დღეს, საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერმა ფინალში გასვლა მოახერხა და ოქროც მოიპოვა. მსოფლიოსა და ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა ფინალამდე: უზბეკი მაისა პარდაევა, ფინელი პიჰლა მატიკაინენი, იტალიელი ჯულია კარნა და ფრანგი მართა ფავაზი დაამარცხა. ფინალში მან ფრანგ სარა ლეონი სისიკეს აჯობა და ოქრო დაისაკუთრა.

ევროპული კარდიოგრამა

ჩემპიონთა ლიგა განახლებული ფორმატით 8-10 სექტემბერს უკვე მეორე სეზონს იწყებს. მონაკოში გამართული წილისყრის შემდეგ ტურნირის მონაწილე 36-მა გუნდმა, რომლებიც 8-8 შეხვედრას 27 იანვრის ჩათვლით ჩაატარებენ, მომავალ მეტოქეთა ვინაობა შეიტყო.

საზეიმო ღონისძიებაზე უეფას სლოვენიელმა პრეზიდენტმა **ალექსანდრ ჩეფერინმა** მის მიერვე დაწესებული პრესტიჟული ჯილდოები **მარკინიოსსა** (ფეერ-პლეის პრიზი) და **ტიერი ანრის** გადასცა, ხოლო თვით მთავარი მოვლენის შესახებ შემდეგს მოგახსენებთ: ქვეყნების მიხედვით ტიტულისთვის იბრძოლებენ – ინგლისი – 5 კლუბი (არსენალი, სიტი, მანჩესტერი, ასტონ ვილა, ლივერპული), ესპანეთი – 5 კლუბი (ბარსელონა, რეალი, ვილიარეალი, ატლეტიკო, ბეტისი) იტალია – 4 კლუბი (ინტერი, ნაპოლი, რომა, კომო), გერმანია – 4 კლუბი (ბაიერნი, დორტმუნდი, ლაიფციგი, შტუტგარტი), საფრანგეთი – 3 კლუბი (პარი სენ-ჟერმენი, ლანსი, ლილი), ნიდერლანდები – 2 კლუბი (ეინდჰოვენი, ფეიენოორდი), პორტუგალია – 2 კლუბი (პორტუ, სპორტინგი), თურქეთი – 2 კლუბი (გალათასარაი, ფენერბახჩე), ნორვეგია – 2 კლუბი (ბოდო გლიმტი, ვიკინგი), ხოლო თითო კლუბით – ბელგია (ბრიუგე), ჩეხეთი (სლავია), უკრაინა (შახტარი), აზერბაიჯანი (საბაჰი), ავსტრია (ლასკი), საბერძნეთი (აეკი) და სლოვაკეთი (სლოვანი).

შეგახსენებთ, რომ უძვირფასესი თასის სიმაღლე 73,5 სანტიმეტრია, წონა – 7,5 კილოგრამი, მის დასაუფლებლად კი ამჯერად 4 ჯვაროსანი ითამაშებს: **ხვიჩა კვარაცხელია** (პარი სენ-ჟერმენი), **გიორგი მამარდაშვილი** (ლივერპული), **გიორგი მიქაუტაძე** (ვილიარეალი) და **ირაკლი აზაროვი** (შახტარი). იმასაც გაუწყებთ, რომ ფინალს 27 ივნისს მეექვსედ უმასპინძლებს ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი, უფრო კონკრეტულად კი ატლეტიკოს სტადიონი მეტროპოლიტანო – მეორედ.

რაც შეეხება საჩვენო ინტრიგას, კვარასა და ჟორჟის გზები პირენეებზე გადაიკვეთება ისევე, როგორც ფეხბურთის სამშობლოში – მიქაუტაძისა და მამარდასი. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ხვიჩასა და ოსიმენის დუელიც პარიზში, ხოლო ტოპ-წყვილები ასეთი გახლავთ: რეალი – არსენალი და ინტერი, პსჟ-სიტი და ბარსელონა, ლივერპული – ატლეტიკო და მანჩესტერი – ბაიერნი.

მოკლედ იწყება ნაღდი საშემოდგომო ფეხბურთი!

ელიტა ელიტად, მაგრამ ქართველ ქომაგთათვის განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ევროტურნირების ჯგუფურ რაუნდში 22-წლიანი მოლოდინის შემდეგ ჩვენი გუნდის, კერძოდ ამ შემთხვევაში – იბერიას დაბრუნება, რომელმაც თბილისის დინამოს 2004 წლის მიღწევა გაიმეორა და შემოდგომაზე კონფერენს ლიგაზე 6 მატჩს შემდეგი მეტოქეების წინააღმდეგ გამართავს **შინ:** ცრვენა ზვეზდა, **საზონოვის** ხეტაფე, მიალბი. **სტუმრად:** კოპენჰაგენი, სენტ ტრუიდენი და **ჭანტურიშვილის** იაბლონეცი.

შეხვედრების თარიღები მოგვიანებით დაზუსტდება. ახლა კი ლეგიონერებს დავუბრუნდეთ.

საფრანგეთის ლიგა – 1. ლილი – პსჟ 2:2. ბარკოლას, რამუშისა და კან-ინგ ლის წასვლის შემდეგ ლუის ენრიკე ახალ გუნდს აშენებს და რამდენადაც მკაცრია ძველი გვარდიის მიმართ, იმდენად გულუხვია ახალწვეულთათვის შანსის მიცემაში. თუ წინა ტურში რენთან ახალი პარტნიორები დუბლით ტორესმა იხსნა, ამჯერად 2-ბურთიანი ჩამორჩენა, ვიტინიამ და მარკინიოსმა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე აღმოფხვრეს, ხვიჩა კვარაცხელია კი მინდორზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და დემბელეს, მენდეშისა და ნევეშის არყოფნაში თავი არაფრით გამოუჩენია.

ესპანეთის ლა ლიგა. ალავესი – ვილიარეალი 1:0. ჟორჟ მიქაუტაძემ მშრალი მატჩი ჩაატარა და შეცვალეს.

რასინგი – ელჩე 3:2. მასპინძლებს ტრავმამოშუშებული გიორგი გულიაშვილი ბოლო წუთებზე დაუბრუნდათ.

სევილია – ატლეტიკო 1:3. როგორც იქნა, ანდალუზიელთა რიგებში გიორგი ქოჩორაშვილის დებიუტი 0:3-ზე შედგა და ჩვენებური მინდორზე მე-60 წუთზე გამოჩნდა.

იტალიის სერია – ა. ფიორენტინა – ფროზინონე 0:3, სტუმართა ლიდერმა გიორგი კვერნაძემ ამჯერად თავი ასისტით გამოიჩინა.

მონცა – უდინეზე 2:3. საბა გოგლიჩიძე მატჩის ბოლომდე უდინელთა რეზერვში დარჩა, ხოლო გიორგი ჩაკვეტაძე ტრავმირებულია.

გერმანიის ბუნდესლიგა. კიოლნი – ჰოფენჰაიმი 3:2. მასპინძელთა დაცვის ბურჯმა ლუკა ლოჩოშვილმა ერთ ეპიზოდში ბურთი მეტოქის კარის ძელს მოარტყა.

თურქეთის სუპერლიგა. გალათასარაი – გიოზთეფე 3:2. გადამწყვეტი გოლი ვიქტორ ოსიმენმა პენალტით გაუტანა ლუკა გუგეშაშვილს.

ნარკოლოგის საგანგებო გაფრთხილება საზოგადოებას

ნარკოლოგი გურაბ სიხარულიძე საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებს, სადაც განმარტავს, რომ ბაგარგე მორიგი საეჭვო ნარკოტიკული ნივთიერებები გამოჩნდა, რაც ხშირად ფატალურ შედეგს იწვევს.

ზურაბ სიხარულიძე:

სიცოცხლეს ნუ ისპობთ, ნარკომანებო!

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „მოგვგეზრდა, ნუ გვაცხოვრებთ ამ ნარკომანების პროგლემებითო“. ერთმა ტროლმა სწორედ ასე მომწერა. მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა გზა არ მაქვს. გოლო ერთი კვირის განმავლობაში არაერთი ადამიანი მწერს და მეუბნება, რომ darknet-ზე ახალი ტენდენციები გაჩნდა.

ადამიანები უცნობი ნივთიერებების მიღების შემდეგ ზედოზირებით საავადმყოფოში ხვდებიან, ზოგჯერ კი სიცოცხლესაც კარგავენ. და რაც ყველაზე საგანგაშოა – ნივთიერების ლაბორატორიული შემოწმებისას ხშირად აღმოჩნდება, რომ ის საერთოდ არ არის ის, რაც მომხმარებელს ეგონა, რომ იყიდა და შეიცავს სხვა ნივთიერებების ნარევს.

ნარკობაზარი სწრაფად იცვლება – და ჩვენ ამას ხშირად ძალიან გვიან ვამჩნევთ.

2025-2026 წლებში განსაკუთრებით საყურადღებო გახდა **darknet**-ისა და ონლაინ მაზრების ახალი ტენდენციები.

უკვე აღარ არის საუბარი მხოლოდ ჰეროინზე, კოკაინზე ან ფენტანილზე. ბაზარზე ჩნდება ახალი სინთეზური ოპიოიდები – მათ შორის **nitazenes**, რომელთა ზოგიერთი წარმომადგენელი ძალიან მაღალი პოტენციალით გამოირჩევა.

ერთ-ერთი ყველაზე საშიში ტენდენციაა ყალბი ფარმაცევტული ტაბლეტები – აბი შეიძლება იყიდებოდეს როგორც **oxycodone, alprazolam** ან **diazepam**, მაგრამ სინამდვილეში სრულიად სხვა ნივთიერებას, მათ შორის ძლიერ სინთეზურ ოპიოიდს, შეიცავდეს.

ასევე სწრაფად ვითარდება სინთეზური და ნახევრადსინთეზური კანაბინოიდების ბაზარი. მომხმარებელს შეიძლება ეგონოს, რომ ყიდულობს „მარიხუანას“, მაშინ როცა პროდუქტის რეალური შემადგენლობა სრულიად სხვა იყოს.

იგივე ხდება **synthetic cathinone**-ების შემთხვევაში – ერთი ნივთიერების კონტროლის შემდეგ ბაზარზე შეიძლება გაჩნდეს ახალი, ქიმიურად მსგავსი ნაერთი.

ყველაზე დიდი პრობლემა კი ის არის, რომ მომხმარებელმა ხშირად საერთოდ არ იცის, რას იღებს.

ეს უკვე მხოლოდ ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა აღარ არის. ეს არის ტოქსიკოლოგიური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერიოზული გამოწვევა.

მსოფლიოში 2024 წელს ნარკოტიკულ ნიმუშებში 688 სხვადასხვა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება დაფიქსირდა, მათგან 101 პირველად გამოვლინდა.

ამ რეალობაში მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკა ვერ იქნება საკმარისი.

საჭიროა სწრაფი ტოქსიკოლოგიური მონიტორინგი, ექიმების ინფორმირება, ზიანის შემცირების პროგრამები და სისტემის მზადყოფნა ახალი ნივთიერებების გამოჩენისთვის. რადგან დღეს შეიძლება პაციენტმა გითხრას, რა იყიდა – მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მან იცის, რა მიიღო. და ყველაზე მთავარი – თუ უცნობი ნივთიერების მიღების შემდეგ ადამიანს დაეწყო გონების დაკარგვა, სუნთქვის შენელება ან გაძნელება, კრუნჩხვა, ძლიერი აგზნება, გულმკერდის ტკივილი ან სხვა მძიმე სიმპტომი, დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ზე.

ნუ დაელოდებით, რომ „თავისით გაუვლის“. ეს პოსტი იმისთვის არ იწერება, რომ ვინმეს ცხოვრება „ნარკომანების პრობლემებით“ მოვაბეზროთ. ეს პოსტი იწერება იმისთვის, რომ კიდევ ერთი ადამიანი არ დავკარგოთ“..

ნარკოტიკის კიდევ ერთი მსხვერპლი!

პოლიციამ დაურ გუავას გარდაცვალების ფაქტზე ორ სახლში ჩხრეკა ჩაატარა და ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვის გრალდებით ორი პირი დააკავა!

შსს-ს ცნობით, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია 10 შეკვრად დაფასოებული სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ და „შეთადონი“.

სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიებით, მათ შორის გამოკითხვებით დასტურდება, რომ ორივე დაკავებულს დაურ გუავასთან და მის მეგობარ ქალთან, რომელიც პოლიციამ გუშინ დააკავა, ნაცნობობა აკავშირებდა.

„გამოძიების ფარგლებში, ასევე დგინდება, რომ ნარკოდანაშაულის გრალდებით დაკავებულმა ერთ-ერთმა პირმა მეგობარ ქალს ნარკოტიკული საშუალება უსასყიდლოდ გადასცა. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება მან დაურ გუავასთან ერთად მოიხმარა, შემდეგ კი იგი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში დატოვა ისე, რომ დასახმარებლად არავისთვის მიუმართავს. სამართალდამცველებმა დაურ გუავას საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, უცხო ქვეყნის მოქალაქე 29 აგვისტოს განსაცდელში მიტოვების გრალდებით დააკავეს. სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები“.

ცნობისთვის, ბლოგერი **დაურ გუავა** 28 აგვისტოს საკუთარ საცხოვრებელ სახლში გარდაცვლილი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, გუავა, სავარაუდოდ, რამდენიმე დღის გარდაცვლილი იყო. ცხედარი მას შემდეგ იპოვეს, რაც მეზობლებმა სამაშველო ჯგუფი გამოიძახეს.

პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობის გრალდებით ერთი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა, თბილისში, გრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ასევე, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სხვადასხვა ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული, 17 შეკვრად დაფასოებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ გამოძიება 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბათუმში ორ წლამდე ბავშვი კორპუსის მერვე სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

– ინფორმაციას ამის შესახებ „ჯარა თაიმსი“ავრცელებს. თვითმხილველების ინფორმაციით, მცირეწლოვანი ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარის ზუსტი მიზეზი ამ დროისთვის უცნობია. ფაქტს ადასტურებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. ფაქტზე სსკ 116-ე მუხლით დაიწყო გამოძიება, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით.

საქართველო-მოსკოვის რეისის ავტობუსი ავარიაში მოჰყვა – დაღუპულია 6 და დაშავებულია 28 ადამიანი

სტავროპოლის მხარეში სამგზავრო ავტობუსისა და სატვირთო მანქანის შეჯახების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა და კიდევ 38 დაშავდა. დაშავებულებს შორის ხუთი ბავშვია, რომელთაგან ერთი რეანიმაციაშია.

თავდაპირველად 5 გარდაცვლილის შესახებ იყო ცნობილი, თუმცა ერთ-ერთი დაშავებული მოგვიანებით რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, საქართველო-მოსკოვის მარშრუტით მოძრავი **Setra** ავტობუსი წინ მიმავალ **KamAZ**-ის სატვირთო მანქანას შეეჯახა. შეჯახების შემდეგ, სამგზავრო ავტობუსი გზიდან გადავიდა და თხრილში აღმოჩნდა. ყველა დაშავებული პიატიგორსკის სამედიცინო დაწესებულებებში გადაიყვანეს. ოთხი ბავშვის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კიდევ ერთი ბავშვი რეანიმაციაშია მოთავსებული.

ქარელში განზრახ მკვლელობის გრალდებით არასრულწლოვანი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განზრახ მკვლელობის გრალდებით არასრულწლოვანი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გრალდებულმა ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაწყებული კონფლიქტის შედეგად ცივი იარაღის გამოყენებით თანასოფლელს გულმკერდის არეში დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაზიანების შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულის ჩამდენი პირი გრალდებულის სახით დააკავეს.

პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

პროკურატურამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე ერთი პირი დააკავა. თბილისის პროკურატურის პირადი ცხოვრების ხელყოფის წინააღმდეგ გრძოლის სამმართველოს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ გრალდებულმა მოიპოვა და უკანონოდ ინახავდა დაზარალებულის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველ მასალას, რაც სოციალური ქსელის საშუალებით დაზარალებულის მეუღლეს გაუგზავნა.

დაკავებულს გრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონო შენახვა და გავრცელება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ცეცხლი მანქანას გაუჩნდა“- დეტალები ზუგდიდიდან...

ზუგდიდში, გენზინგასამართ სადგურზე აფეთქება მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი მანქანას გაუჩნდა და თავდაპირველად ის აალდა.

როგორც „პრაიმტაიმს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში უთხრეს, შემთხვევის შედეგად ორი ადამიანი დაშავდა. ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

15 წლის უმუდ სოფიევის ცხედარი თბილისის ზღვაში იპოვეს

6-დღიანი ძებნის შემდეგ თბილისის ზღვაში 15 წლის უმუდ სოფიევის ცხედარი იპოვეს, – ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დაგვიდასტურეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მყვინთავებმა, თბილისის ზღვაში რამდენიმე დღის წინ დაკარგული 15 წლის მოზარდის ცხედარი, ზღვაში, 30 მეტრის სიღრმეზე იპოვეს.

საძიებო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში, ყველა შესაბამისი წყალზე სამაშველო სპეცტექნიკის და აღჭურვილობის გამოყენებით მიმდინარეობდა.

პირველი ქართული მინიატიურული წიგნი

□საკვედრებელი ღვთის მშობლისა□□ეროვნული გიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში ინახება.

1809 წელს გამოცემული, ნუსხური შრიფტით ნაბეჭდი □საკვედრებელი ღვთის მშობლისა□თანამედროვე სტანდარტებით პირველი ქართული მინიატიურული წიგნია, რომელიც რაჭაში, სოფელ წესში დაიბეჭდა. ეროვნული გიბლიოთეკის ინფორმაციით, მინიატიურული ბეჭდური წიგნების ისტორია შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს. ღვთისმშობლის საკვედრებლის ფორმატი კი, ერთ-ერთი ვერსიით, ქაღალდის და მელნის ეკონომიურმა გამოყენებამ განაპირობა.



1809 წელს □საქართველოსა ქუეყანასა წესს□ახალი სტამბა ერეკლე II-ის გამოცდილმა მესტამბემ, მოგვიანებით კი სოლომონ II-ის ქუთაისის სამეფო სტამბის რეფორმატორმა რომანოზ ზუბაშვილმა გამართა. □საკვედრებელი ღვთის მშობლისა□ეროვნული გიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში ინახება.

ქართველ მწერალს ნინო ხარატიშვილს „ვინფრიდის“ პრემია მიენიჭა

ნინო ხარატიშვილს გერმანიის ქალაქ ფულდის 2026 წლის უმნიშვნელოვანესი ვინფრიდის პრემია მიენიჭა. ჯილდო ქართველმა მწერალმა □რუსული იმპერიალიზმის ფონზე ევროპული იდეისა და თავისუფლების დაცვის საქმეში თავისი მტკიცე პოზიციისთვის□მიიღო. პრემია ხარატიშვილს 13 სექტემბერს ფულდში გადაეცემა.

ჟიურის დასაბუთებაში ნათქვამია, რომ ნინო ხარატიშვილი საკუთარი ნაწარმოებებით იკვლევს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგებს და დასავლურ საზოგადოებას აფიქრებს ერთიანი ევროპული აზროვნებისა და კულტურული მიღწევების შენარჩუნების აუცილებლობაზე.

ვინფრიდის პრემიას უკვე წლებია აძლევენ ისეთ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი საქმიანობით იცავენ ადამიანის უფლებებს ევროპაში და ხალხთა შორის ურთიერთგაგებას უწყობენ ხელს.

ლიმილი...

ველური სექსი ქალსა და მამაკაცს შორის კარგი, მეგობრული ურთიერთობების დამყარების საფუძველი სულაც არ არის.

* * *

მიღწეულზე ნურასდროს გაჩერდები! წინ ხომ კიდევ უამრავი სისულელეა ჩასადენი!

* * *

თვალში ნებისმიერი ქალი შეიძლება მოგხვდეს კაცს, დამახსოვრებით კი...

* * *

გოგოებო, გახსოვდეთ: თუ ბედმა, როგორც იქნა, თქვენი ოცნების კაცი შეგახვედრათ, ეს საკმარისი ნამდვილად არ არის! ამის შემდეგ საჭიროა უდიდესი მონადინებით იზრუნოთ იმაზე, რათა დაარწმუნოთ ეს ტუტუცი, რომ თქვენთან შეხვედრით მისი ოცნება როგორც იქნა ახდა!

* * *

ყოველთვის უნდა იცოდეთ თქვენი ნორმა! სხვა შემთხვევაში ადვილია დაუშვათ შეცდომა და დალიოთ ნაკლები!..

* * *

ალქაჯისგან ფერია მხოლოდ ხასიათით თუ განსხვავდება...

* * *

სიმართლის თქმა საშიშია, ტყუილის – სირცხვილი! ამიტომ – იხუმრე, ძამიკო!..

* * *

ნაირ-ნაირი სისულელეების ჩადენა მხოლოდ ჭკვიან ქალს შეუძლია! უტვინოს კი ამის ჭკუა არ ეყოფა!

* * *

...მერვე დღეს კი ღმერთმა შექმნა იუმორის გრძნობა. ამ ღონისძიებას ზოგიერთები არ დასწრებიან.

* * *

– ძვირფასო, რად გინდა ამდენი გულმოხსნილი მაისური და ასეთი მოკლე შორტი? – როგორ თუ რად მინდა?!. მე ხომ გოგონა ვარ!..

– რომელი გოგონა შენა ხარ, ორმოც წელს უკაკუნებ!

– ჰოდა, მერე რა, ამიტომ ახლა ბიჭი ვარ?

* * *

თენდებოდა.... თავიანთ სახლებში თანდათანობით ბრუნდებოდნენ მეზღაპრე ქმრები...

* * *

ავტოსპოლაში:

– ახლა მომიყევით, როგორ მუშაობს მანქანის ძრავა!

– მას, შეიძლება ჩემი სიტყვებით მოვყვე?

– შეიძლება!

– თხ-თხ-თხ-თხ...

აჭარული ხაჭაპური მსოფლიოში მეორეა!

ქართული სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კერძი, აჭარული ხაჭაპური, TasteAtlas-ის მსოფლიოს საუკეთესო ყველის კერძების რეიტინგში მეორე ადგილზეა.

საერთაშორისო კულინარიულ პლატფორმაზე გამოქვეყნებულ Top 100 Cheese Dishes in the World სიაში აჭარულმა ხაჭაპურმა 4.4 ქულა მიიღო და რეიტინგში მხოლოდ ბერძნულ საგანაკის ჩამორჩა, რომელსაც ასევე 4.4 ქულა აქვს. რეიტინგი TasteAtlas-მა ბოლოს 2026 წლის 15 აგვისტოს განაახლა.

პუბლიკაციის მიხედვით, TasteAtlas აჭარულ ხაჭაპურს აჭარის რეგიონთან აკავშირებს და მას აღწერს, როგორც ღია ტიპის ცომეულს, რომელიც ყველისა და კვერცხის კომბინაციით მზადდება. პლატფორმის მიხედვით, ცომის საფუძველი საფუვრიანი ცომია, რომელსაც ტრადიციულად სულგუნის, იმერული ყველის ან მათი კომბინაციის შიგთავსი აქვს. კერძს ზემოდან კვერცხი ემატება და გამოცხობის შემდეგ კარაქის ნაჭრით მიირთმევენ.

რეიტინგის პირველ ხუთეულში აჭარული ხაჭაპურის გარდა კიდევ სამი ქვეყნის კერძი მოხვდა. პირველ ადგილზე საგანაკია საბერძნეთიდან – 4.4 ქულით, მესამე ადგილზეა არგენტინული პროვოლეტა – 4.4 ქულით, მეოთხეზე ბოსნიური სირნიცა – 4.4 ქულით, ხოლო მეხუთეზე იტალიური ფოკაჩა დი რეკო ყველით – ასევე 4.4 ქულით.

საქართველოდან რეიტინგში აჭარული ხაჭაპურის გარდა კიდევ რამდენიმე ქართული კერძია წარმოდგენილი. უშუალოდ ხაჭაპური, როგორც ზოგადი კატეგორია, მეშვიდე ადგილზეა და 4.3 ქულა აქვს. მეგრული ხაჭაპური მე-13 პოზიციაზეა, ხოლო ფენოვანი ხაჭაპური – მე-16 ადგილზე; ორივე კერძს 4.3 ქულა აქვს.

აშშ-ში პანკრეასის კიბოს ახალმა წამალმა კლინიკური გამოცდა წარმატებით გაიარა



აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციამ (FDA) პანკრეასის კიბოს მკურნალობისთვის ახალი მედიკამენტი დაამტკიცა. ექსპერტების შეფასებით, პრეპარატი ამ მძიმე დაავადების მკურნალობაში გარღვევას მოახდენს. მედიკამენტის ავტორიზაციაზე ევროპული უწყებებიც აქტიურად მუშაობენ.

ამერიკელ ექიმებს ახალი პრეპარატის გამოყენება უკვე შეუძლიათ. □დარაქსონრასიბი□(daraxonrasib) მეტასტაზური პანკრეასის ადენოკარცინომით დაავადებული ზრდასრული პაციენტებისთვისაა განკუთვნილი. კლინიკური კვლევების მესამე ფაზის შედეგებმა აჩვენა, რომ მედიკამენტმა სტანდარტულ ქიმიოთერაპიასთან შედარებით პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობა გააორმაგა. **მედიკამენტი გაზარზე □რასონკის□(Rasonque) სახელწოდებით გამოვა. ის ახალი თაობის პირველი პრეპარატია, რომელიც უჯრედების იმ უბნებზე მოქმედებს, სადაც მანამდე არსებული მედიკამენტები ეფექტური არ იყო. მომავალში ამ ტიპის პრეპარატების გამოყენება კიბოს სხვა ფორმების სამკურნალოდაც იგეგმება.**

ენტონი ჰოპკინსის პირველი მუსიკალური ალბომი 88 წლის ასაკში!



ოსკაროსანმა მსახიობმა სერ ენტონი ჰოპკინსმა 88 წლის ასაკში თავისი პირველი კლასიკური მუსიკალური ალბომი გამოსცა.

□ცხოვრება სიზმარია□ – ამ სახელწოდების ალბომში მსახიობი მსმენელს უზიარებს მუსიკას, რომელსაც 60 წელზე მეტია ფარულად ქმნიდა. **12 კომპოზიცია ორკესტრთან ერთად გრემის მფლობელი დირიჟორის გუსტავო დუდამელის ხელმძღვანელობით ჩაიწერა.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგეჯდილ, ან უცხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
„ტორში“
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
ხუთშაბათს,
3 სექტემბერს**